# შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№39 (9.704)

24-31 ოქტომბერი 2015 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# პედაგოგები დამწვარი სკოლის დასახმარებლად გაერთიანდნენ



პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირების დედოფლისწყაროს ორგანიზაცია ხანძრის შედეგად რამდენიმე დღის წინ განადგურებული ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლის დასახმარებლად საქველმოქმედო აქციას იწყებს. ორგანიზაციამ საველე პირობებში მყოფ სკოლას საკუთარი ბიუჯეტიდან უკვე შეუძინა სხვადასხვა სახის საკანცელარიო ნივთები. პედაგოგები მოსახლეობას გააქტიურებისკენ და თანადგომისკენ მოუწოდებენ.

17 ოქტომბრის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე კი მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პროფკავშირების ადგილობრივი ორგანიზაციის ინიციატივით, დედოფლისწყაროს სხვადასხვა სკოლების პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები ზემო მაჩხაანის სკოლის დასახმარებლად სხვადასხვა შემოწირულობებს შეაგროვებენ. მათ შორის, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში, სკოლის ბიბლიოთეკის აღსადგენად წიგნებიც გროვდება. პირველი შემოწირულობა პროფკავშირების რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მაყვალა მაძღარაშვილმა გაიღო, რომელმაც დამწვარ სკოლას პირადი ფონდიდან 20 წიგნი გადასცა.

მაყვალა მაძღარაშვილი: „ზემო მაჩხაანის სკოლა ჩემთვის ძალიან ახლობელი იყო, რადგან ეს სკოლა დავამთავრე, ბავშვობა ამ სკოლაში გავლიე და თუ დღეს პედაგოგი ვარ, ეს ცოდნა, თავის დროზე, სწორედ ამ კედლებში მაქვს მიღებული. ყველა დამეთანხმება, რომ ბევრი კარგი თაობა აღუზრდია და გამოუშვია ზემო მაჩხაანის სკოლას და ვიცი, დღემდე წარმატებულად და ნაყოფიერად მუშაობდა. ამიტომ, ჩემთვის ეს ინფორმაცია, რომ სკოლა მთლიანად განადგურდა, ძალიან მტკივნეული იყო. რთულია, როცა ყველაფერი განადგურდა და არაფერი აღარ დარჩა. განვიცდი მათ მდგომარეობას. ამიტომ, ვფიქრობ, მთელი სოფლისთვის ყველანაირად ხელისშემშლელი იქნება, თუ მოკლე ვადებში არ აღდგება სკოლა.

მოვუწოდებ ყველას, ჩემს თანასოფლელებს, მეგობრებს, ახლობლებს, კოლეგებს, რომ შევძლოთ, რამენაირად დავეხმაროთ პედაგოგებს და მოსწავლეებს. რასაც მოვახერხებთ, ყველანაირად ვეცდებით და ვფიქრობ, ბიბლიოთეკის აღდგენაში წვლილის შეტანას მოვახერხებთ. ვცდილობ, ჩვენი აქტივიც მთელი ძალებით ჩაერთოს და ასევე მივმართე პროფკავშირების პრეზიდენტს მაია კობახიძეს, რათა შუამდგომლობა გაუწიოს ამ სკოლას განათლების სამინისტროსთან. დაზიანებული სკოლები ბევრია, მაგრამ იქნებ მათი რეკომენდაციით, მაჩხაანის სკოლის აღდგენის საკითხს პრიორიტეტი მიენიჭოს. ეს კი იმიტომაა აუცილებელი, რომ ზემო მაჩხაანი ოდითგან დიდი სოფელი იყო, კარგად მახსოვს პერიოდი, როცა ამ სკოლაში 500 მოსწავლე ირიცხებოდა. ამჟერად კი, სოფელი ძალიან დაცლილია, მოსწავლეთა რიცხვი 180-საც ვერ აღწევს და მიმაჩნია, რომ ამ ფონზე სკოლის არარსებობა სოფელში ვითარებას კიდევ უფრო დაამძიმებს. სხვათაშორის, ასეთი საუბრები უკვე მესმის და მშობლების ნაწილი უკვე ფიქრობს იმაზე, რომ თუ სკოლა მოკლე ვადებში ვერ აღდგა, შესაძლოა, მათ სწავლის გასაგრძელებლად დედაქალაქში, ან რაიონულ ცენტრში მოუხდეთ საცხოვრებლად გადასვლა. ამიტომ, მერწმუნეთ, ძალიან საშიშია ეს პროცესი. მართალია, განათლების სამინისტრომ ამ სკოლას ტრანსპორტი უკვე გამოუყო, ავტობუსით არიან უზრუნველყოფილნი. მაგრამ, რომ დავუკვირდეთ, ძალიან რთულია, ყოველდღიურად 3 კილომეტრით მოშორებულ სოფელში სიარული.

ჩემი დიდი სურვილია, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდეს. მინდა, ერთსულოვნება გამოხატოს მთელმა რაიონმა და ყველა მხარში დავუდგეთ ამ დაფერფლილ სკოლას. იმედი გვაქვს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროც და ჩვენი ხელისუფლებაც მაქსიმალურად ჩაერთვება ამ პროცესში და შედეგს დროულად ვნახავთ. ძალიან მძიმე სანახავია ფაქტი, როდესაც ჩვენი კოლეგები და მოსწავლეები სხვადან ისეთ ოთახებში, რომელსაც კარიც არ გააჩნია. მითუმეტეს, რომ ზამთარი მოდის და ამინდები გაუარესდება. ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით კულტურის სახლის შენობაში ცალკეული ოთახების რეაბილიტაცია ხდება და რამდენიმე საკლასო ოთახი სწორედ კულტურის სახლის შენობაში განთავსდება და დროებით იქ შეაფარებს თავს.

ამჟერად, საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე დღის წესრიგში შეტანილ სხვა საკითხებთან ერთად ცხადია განვიხილეთ ხანძრის შედეგად განადგურებული ზემო მაჩხაანის სკოლის მდგომარეობა და ვიმსჯელეთ სკოლისთვის საჭირო დახმარების გზებზე. გვინდა ვისარგებლოთ და გაზეთ „შირაქის“ მკითხველსაც ვთხოვოთ, რომ შემოგვიერთდნენ ამ კეთილ საქმეში, შეძლებული ადამიანები, ფერმერები, თუ უბრალოდ ჩვენი თანარაიონელები გამოგვეხმაურონ და ყველა ერთად მხარში დავუდგეთ ამ სკოლას, რათა შევუმსუბუოთ ის ვითარება, რაც ასე მოულოდნელად შეიქმნა. მინდა გითხრათ, რომ მართლაც მოულოდნელი მხარდაჭერა გამოხატეს საბჭოს წევრებმა და იმაზე დიდი დაინტერესება გამოიწვია, ვიდრე ველოდი. წამოვიდა სხვა ინიციატივებიც, რომ დახმარება იყოს არა მხოლოდ წიგნებით, არამედ საკანცელარიო და სხვა ნივთებიც გადავცეთ. ორგანიზაციის თანხებით მცირე დახმარება მანამდე უკვე გავუწიეთ, მაგრამ სკოლაში, სადაც არც ცარცი დარჩა, არც სკამი, არც ჟურნალი და არაფერი არ გადარჩენილა, მოგეხსენებათ ასეთ სკოლას ბევრი წვრილმანი ესაჭიროება და მათთვის ყველაფერი მნიშვნელოვანია,“ - აღნიშნავს მაყვალა მაძღარაშვილი.

გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას საბჭოს სხდომაზე შეკრებილი სხვა სკოლების პედაგოგებიც აცხადებდნენ, რომ ზემო მაჩხაანის სკოლას მაქსიმალურად გვერდში დაუდგებიან. თითოეული პედაგოგი ინფორმაციას თავის სოფელში ჩაიტანს, შემდეგ კი საქველმოქმედო აქციის ფარგლებში ნივთების შეგროვებას მოახდენს. მოგვიანებით ნივთების ტრანსპორტირებაზე ორგანიზაცია თავად იზრუნებს.

ილია მარტყოფლიშვილი

## „ძიუდოს პაპის“ ტურნირზე



გვ.3

## საღამო ღია ცის ქვეშ



გვ.4

## ხვამლის მთის გულში ხელუხლებელი მიწისქვეშა ქალაქია?

გვ.7




C M Y K

# გიორგი კვირიკაშვილი — გაცილებით ნაკლები ზიანი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას არაობიექტურმა სარედაქციო პოლიტიკამ, ვიდრე ჩვენი პარტნიორების შეკითხვებმა მედია თავისუფლებასთან დაკავშირებით

ვიცე-პრემიერი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ტელეკომპანია "რუსთავი 2"-ის საკითხთან დაკავშირებით ოთხ ასპექტს გამოყოფს.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებს დღეს განუცხადა, პირველი არის ის ფაქტი, რაც გუშინ იხილა - ქუჩაში შელაპარაკებები, კერძოდ, კი ბიზნესმენ გიორგი კოდუასთან ახალგაზრდების ჯგუფის შელაპარაკება.

"მინდა, ვთხოვო ყველას, მოვუწოდო კიდეც, მაქსიმალურად თავი შევიკავოთ ემოციების ქუჩაში გადატანისგან, ვინაიდან ამას შეიძლება მძიმე შედეგი მოყვეს. ასევე მინდა ვთხოვო და, დარწმუნებული ვარ, რომ სამართალდამცველებს ექნებათ რეაგირება ასეთ შემთხვევებზე. ეს არის კატეგორიულად მიუღებელი", - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

რაც შეეხება მეორე საკითხს, კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის არის აბსოლუტურად მიუღებელი ძალადობის კადრების ტირაჟირება.

"ეს არის დაბრუნება იმ საშინელ წარსულში, რომელიც საქართველომ გაიარა. ეს ფურცელი უნდა გადაიშალოს ერთხელ და სამუდამოდ. არ ვიცი, ვინ აკეთებს ამას, ეს ნამდვილად არ შედის მთავრობის ინტერესში და ვინც აკეთებს, არ აქვს მნიშვნელობა, სად არის, სად მუშაობს, რომელი გუნდის თუ მიმართულების წევრია. ეს არის ადამიანების ფსიქიკის დანგრევა. ახალგაზრდებს შეიძლება, ცხოვრება დავუმახინჯოთ მარტო იმითი, რომ ეს უბედურება ვაჩვენოთ, რაც გაიარა საქართველოს მოსახლეობის ერთმა ნაწილმა. ამიტომ კატეგორიულად ვემიჯნები, მითუმეტეს ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მასშტაბით ასეთი კადრების ჩვენებას", - განაცხადა კვირიკაშვილმა.

მესამე საკითხი, როგორც მინისტრმა აღნიშნა, ეხება მედიის თავისუფლებას და მისი თქმით, ეს არის უმნიშვნელოვანესი ფასეულობა, რომელზეც ნებისმიერი მთავრობა უნდა იდგეს.

"ჩვენი მთავრობა ამ ფასეულობაზე ნამდვილად დგას, ამიტომ მინდა, ყველა დავარწმუნო, რომ ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ არც ერთი სატელევიზიო, თუ მედიაკომპანიის მაუწყებლობის პოლიტიკაში ჩარევა არ მოხდეს და არ ხდება ასეთი რამ. არ ვიცი, ვინ იქნება ამ პროცესის გამარჯვებული, ნამდვილად არ ვარ იურიდიული დეტალების საქმის კურსში, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს, მე ვფიქრობ, რომ გაცილებით ნაკლები ზიანი შეიძლება მოუტანოს ქვეყანას, თუნდაც ყველაზე არაობიექტურმა სამაუწყებლო სარედაქციო პოლიტიკამ, ვიდრე იმან, რომ ეჭვი გაჩნდეს ჩვენს მეგობრებსა და პარტნიორებში ქვეყანაში მედიათავისუფლებასთან დაკავშირებით", - განაცხადა კვირიკაშვილმა.

რაც შეეხება მეოთხე საკითხს, მინისტრმა "რუსთავი 2"-ს და ყველა იმ ადამიანს მიმართა, ვინც შეიძლება, საწინააღმდეგო პოზიციაზე იდგეს.

"მინდა, "რუსთავი 2"-ის ხელმძღვანელობასაც და ყველა იმ ადამიანს მოვუწოდო, ვინც საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას, ერთხელ და სამუდამოდ ქვეყანამ უნდა გადააბიჯოს იმ ზღვარს , რომ სასამართლო გადაწყვეტილება, მოგწონს ეს თუ არა მოგწონს იგი, მისაღები იქნება ყველასთვის, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მხარეს დგას ეს ადამიანი", - განაცხადა კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, სასამართლომაც უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისთვის, რომ ჩვენს პარტნიორებსა და მეგობრებში არც ერთი კითხვის ნიშანი არ დარჩეს ამ მიმართულებით, თუნდაც ამისთვის დამატებითი ლეგიტიმაციის ელემენტები გახდეს საჭირო.

# კახა კალაძემ და "სოკარ ჯორჯია გაზის" გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ საგარეჯოში გაზსადენი გახსნეს



ვიცე პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ და აზერბაიჯანული კომპანიის "სოკარ ჯორჯია გაზის" გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ, ანტონ სამსონიძემ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თოხლიაურსა და ბადიაურში ახლადაშენებული გაზსადენები გახსნეს.

ენერგეტიკის მინისტრმა და კომპანიის წარმომადგენლებმა ორივე სოფლის ცენტრში ჩირაღდანი აანთეს. გარდა ამისა, მინისტრმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლებში პატარა ჩაილური და მზისგული ახლად აშენებული გაზსადენები დაათვალიერა და ოჯახებში გაზქურა აანთო.

,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების გაზიფიცირების პროცესში დაახლოებით 4 000-მდე ახალი აბონენტი გაზიფიცირდა, რომელთაც საშუალება ექნებათ ბუნებრივი აირით ისარგებლონ და მიხარია, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ 2017 წლის ბოლოსთვის სრულიად საქართველოს მასშტაბით დავასრულებთ გაზიფიცირების სამუშაოებს. ნორმალურ, განვითარებულ ქვეყანაში ნებისმიერ ადამიანს, ოჯახს უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ ისარგებლოს ბუნებრივი აირით, ელექტროენერგიით, წყლით. ეს არის ის მინიმალური პირობები, რასაც ჩვენ ვახორციელებთ და ეს წლების განმავლობაში პრობლემა იყო. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ მოსახლეობას აქვს საშუალება ისარგებლოს გრძელვადიანი განვადებით; თქვენ იცით, რომ ,,საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ" ქსელში დაერთების საფასური 600 ლარიდან 400 ლარამდე შეამცირა და ასევე, მოსახლეობას აქვს საშუალება განაცხადი გააკეთოს და 400 ლარის გადახდის შემთხვევაში, გრძელვადიანი უპროცენტო განვადებით ისარგებლოს. ყოველთვიურად მოუწევს 25 ლარის გადახდა, რომელსაც ბუნებრივი აირის მოხმარების საფასური დაემატება. ვფიქრობ, დღევანდელი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე ძალიან მნიშვნელოვანია ეს შეღავათი", - განაცხადა კახა კალაძემ.

კომპანია "სოკარ ჯორჯია გაზმა" სოფელ თოხლიაურში 24,3 კმ სიგრძის საშუალო წნევის გაზსადენი ააშენა, რის შედეგადაც სოფელში მცხოვრებ 510 პოტენციურ აბონენტს გაზის საერთო ქსელში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა. სოფელ ბადიაურის მიმართულებით, 65,8 კმ სიგრძის საშუალო წნევის გაზსადენი აშენდა, რის შედეგადაც სოფელში მცხოვრებ 618 პოტენციურ აბონენტს გაზის საერთო ქსელში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა.

სოფლების პატარა ჩაილური და მზისგული გაზიფიცირებისთვის აშენდა 17 კმ სიგრძის საშუალო წნევის გაზსადენი. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, ბუნებრივი აირის მიღების შესაძლებლობა ამ სოფლებში მცხოვრებ 666 ოჯახს მიეცა. დღეისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ოთხივე ახლად გაზიფიცირებულ სოფელში მცხოვრები 1 167 აბონენტი უკვე უზრუნველყოფილია ბუნებრივი გაზით. დღეისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში აშენებულია 226 კმ სიგრძის საშუალო წნევის გაზსადენი და გაზიფიცირებულია 5 300 აბონენტი. ამ დროისთვის მუნიციპალიტეტში კომპანია "სოკარ ჯორჯია გაზი" 11 331 აქტიურ აბონენტს ემსახურება.

კახეთის რეგიონში 1 088 კმ გაზსადენის მშენებლობის შედეგად, 35 132 აბონენტია გაზიფიცირებული. დღეისათვის რეგიონში 62 152 აქტიური აბონენტია რეგისტრირებული.

მიმდინარე წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით, კომპანია "სოკარ ჯორჯია გაზმა", მთელი საქართველოს მასშტაბით, 5 150 კმ სიგრძის გაზსადენი ააშენა და ბუნებრივი გაზით 207 989 აბონენტი უზრუნველყო.

შეგახსენებთ: ბუნებრივი გაზის სექტორში ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების ტარიფი 600 ლარიდან 400 ლარამდე შემცირდა.

ენერგეტიკის სამინისტროსა და გაზგამანაწილებელი კომპანიების შეთანხმებით ისევ შენარჩუნებულია ამ თანხის ეტაპობრივი გადახდის მექანიზმი და მოსახლეობას უკვე შემცირებული ტარიფის გადახდა 25 ლარიანი პორციებით, 16 თვის განმავლობაში შეეძლება. მომსახურების ღირებულებაში შედის ბუნებრივი გაზის ერთი წერტილის მოწყობა.

# დიმიტრი ქუმსიშვილი - გავაგრძელებთ მუშაობას, რომ ქვეყანაში ინვესტიციები წახალისებული იყოს

ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას იმისთვის, რომ ქვეყანაში ინვესტიციები იყოს წახალისებული, - ამის შესახებ ჟურნალისტებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განუცხადა, რომელმაც დღეს სამინისტროს სამწლიანი საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაცია გამართა.

კითხვაზე, რამდენად მიმზიდველია ინვესტორებისთვის დღეს არსებული გარემო, მინისტრმა აღნიშნა, რომ პრინციპულად მნიშვნელოვანია ის რეიტინგები, რომელიც საქართველოს აქვს და ასევე ის აღქმა, რომელიც დღესდღეობით ინვესტორებს გააჩნიათ.

"ჩვენ საკმაოდ კარგი წარმატებები გვაქვს ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით და გავაგრძელებთ მუშაობას იმისთვის, რომ ქვეყანაში იყოს სტაბილურობა, ქვეყანაში ინვესტიციები იყოს წახალისებული, იყოს რაც შეიძლება ნაკლები რეგულაცია და ინვესტორებმა ქვეყანაში იგრძნონ თავი ძალიან კომფორტულად, არა მარტო ქვეყნის გარედან შემოსულმა ინვესტორებმა, არამედ ადგილობრივმა მეწარმეებმა, ბიზნესმენებმა, რომლებსაც სურთ და აკეთებენ ბიზნესს საქართველოში", - განაცხადა ქუმსიშვილმა.

ანგარიშის პრეზენტაციას ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

# საგარეჯოში ზეთისხილის პლანტაციები გაშენდება

2016 წლიდან საგარეჯოში ზეთისხილის პლანტაციები გაშენდება. ამის შესახებ კომპანია „ჯეოლაივის" ხელმძღვანელმა გიორგი სვანიძემ განაცხადა. მისივე თქმით, საგარეჯოს მაცხოვრებლებისგან ზეთისხილს ჰიპერმარკეტების ქსელი „კარფური" ჩაიბარებს და მის რეალიზაციას მოახდენს.

„2016 წლიდან საგარეჯოში ზეთისხილის კულტურის განვითარებას ვგეგმავთ. მოსავლის მიღების შემდეგ კი ჰიპერმარკეტების ქსელი „კარფური" მზადაა პროდუქცია საგარეჯოელი გლეხებისგან ჩაიბაროს და მისი რეალიზაციაც მოახდინოს",- განაცხადა გიორგი სვანიძემ საგარეჯოში მიმდინარე ეკონომიკურ ფორუმზე.

ეკონომიკური ფორუმი კოალიცია „ქართული ოცნების" საგარეჯოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის თამარ ხიდაშელის საარჩევნო შტაბის ორგანიზებით გაიმართა. შეხვედრას კერძო სექტორთან ერთად, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებმა ყურადღება მეღვინეობის დარგისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებაზე, საგარეჯოს ტურისტულ პოტენციალზე, სოციალურ-ეკონომიკურ პროექტებსა და დაცული ტერიტორიების განვითარებაზე გაამახვილეს.

კახეთის რეგიონში სხვადასხვა კომპანიას 300 ჰექტარი ზეთისხილის პლანტაცია აქვს გაშენებული.

# ნიგერიაში ტერაქტის შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა

ნიგერიაში ტერაქტის შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა, 17 კი დაშავდა. როგორც "ბიბისი" იტყობინება, ნიგერიის ქალაქ მაიდუგურის მეჩეთში თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი აიფეთქა. ტერაქტი დილის ლოცვის დროს მოხდა.

სააგენტო "ესოშიეითედ პრესი", არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით იტყობინება, რომ მეჩეთში ორი აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც 18 ადამიანი დაიღუპა.

გასულ კვირას, ნიგერიაში ანალოგიური ტერაქტის შედეგად რამდენიმე ათეული ადამიანი დაიღუპა. ქალაქი მაიდუგური რადიკალური დაჯგუფება "ბოკო ჰარამის" ერთ-ერთი სამიზნეა. მებრძოლები ქალაქს ხშირად ესხმიან თავს.

# „ძიუდოს პაპის“ ტურნირზე

## 60 წელი სპორტის სამსახურში





ანზორ მარტყოფლიშვილი ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომელსაც ბევრი წარდგინება არ სჭირდება. ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობად აღიარებული თბილისის საერთაშორისო ტურნირის პირველი ქართველი გამარჯვებული - ტიტულებისთვის მხოლოდ ესეც კმარა, საზოგადოებრივ საქმიანობას კი რაც შეეხება, ჯერ ხომ ყოფილი საბჭოთა კავშირის დროსაც ძიუდოში ტრიალებდა, ბოლო 27 წელიწადი ძიუდოს დამოუკიდებელ ფედერაციაში მუშაობს სხვადასხვა ხელმძღვანელ პოსტზე. უკვე ნელ-ნელა მანაც გადმოიბარა "ძიუდოს პაპის" საპატიო ტიტული.

ის 14 ოქტომბერს იუბილარი იყო - 78 წლის გახდა, ამ თარიღის აღსანიშნავად მშობლიურ დედოფლისწყაროში მისი სახელობის ტურნირი ჩატარდა 1999-2000 წლებში დაბადებულთა შორის.

წლებმა და შრომამ ანზორ მარტყოფლიშვილს ენთუზიაზმი ვერ გაუნელა - ვერც სპორტში და ვერც პირად ცხოვრებაში. ფედერაციაში კვლავაც ენერგიულად მუშაობს აღმასრულებელ დირექტორად, განათლებით აგრონომი, კახეთში სოფლის მეურნეობასაც მისდევს და 4 ჰექტარ მიწას ამუშავებს: ვაზსაც უვლის, მზესუმზირა და ხორბალიც მოჰყავს, განთქმულ ღვინოსაც აყენებს, თავადაც კარგი მომლხენი და მოქეიფეა, ხოლო ოჯახს, ცალ-ცალკე მცხოვრებ შვილებს დღემდე საკუთარი ხორბლისგან გამომცხვარი პურით ამარაგებს. მთელი კვირის შრომით დაღლილი შაბათ-კვირას სოფელში ჩამოდის და მუშაობს თავაუღებლად.

ივლისში თბილისში გამართული ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ანზორ მარტყოფლიშვილისთვის ორმაგად წარმატებული გამოდგა - ჩვენი ძიუდოისტების გამარჯვებებით ხომ გაიხარა, ევროპის ძიუდოს კავშირმა ძიგორო კანოს სახელობის ოქროს მედლით დააჯილდოვა, რომელიც ფესტივალზე გადასცეს.

- არც ვიცოდი, ამ დაჯილდოების შესახებ - გვითხრა ანზორ მარტყოფლიშვილმა. ჯილდო, რომელიც ევროპის ფედერაციის პრეზიდენტმა სერგეი სოლოვეიჩიკმა გამომიგზავნა, ძიუდოში ამდენი ხნის მოღვაწეობის გამო გადმომცეს. თურმე რამდენიმე დღე ჩამოტანილი ჰქონდათ თბილისში და არ მეუბნებოდნენ. ფესტივალის დამთავრების წინადღეს ჩემს ოთახში ვიჯექი და ვმუშაობდი, როცა შესვენებისას დარბაზში დამიძახეს, ჯილდო უნდა გადმოგცეთო. მაშინ გადმომცეს სოლოვეიჩიკის სახელით.

**- თქვენი ყველაზე დიდი გულისტკივილი ის იყო, რომ ძიუდოს საკუთარი ბაზა არ ჰქონდა. შეიძლება ითქვას, ოცნება აგიხდათ, თუმცა მის შესანარჩუნებლად პირადადაც ბევრი იბრძოლეთ - ამ რემონტის დროს თქვენც იდექით აქ გუშაგად და თურმე კარვის დადგმასაც კი აპირებდით ღამის გასათევად.**

- სად არ ვირბინე სამხედროებში, რომ ორი კარავი ეთხოვებინათ. არადა, თავდაცვის სამინისტროს აქ შეჯიბრებებს ვუტარებთ, ტატამიც ვაჩუქეთ და ვიფიქრე, უარს როგორ მეტყვიან-მეთქი, მაგრამ არ გვაქვს კარვებიო. ვერაფრით დავიჯერებ, რომ არ ჰქონდათ, მაგრამ რა მექნა და ხელი ჩავიქნიე. შენობის უკან ხელოვნურსაფარიანი მინისტადიონი რომ გვაქვს, იქ მინდოდა მისი დადგმა, რადგან არ ვიცოდით, ფესტივალის შემდეგ დაგვრჩებოდა თუ არა ეს შენობა.

ამ რემონტის პერიოდში 400-ზე მეტი ბავშვი დავკარგეთ - აქ რომ აღარ იყო სავარჯიშო პირობები, სხვაგან წავიდნენ. ახლა ისევ იწყება შევსება და იმის მიუხედავად, რომ სამი დარბაზია, მაინც არ ჰყოფნით, იმდენად დიდი ინტერესია.

**- ფედერაციაშიც უკვე ყველაზე სტაჟიანი თანამშრომელი ბრძანდებით.**

- ფედერაციის დაარსების დღიდან აქ ვმუშაობ. დამფუძნებელ ყრილობაზე დილარ ხაბულიანი პრეზიდენტად აირჩიეს, მე - ვიცე-პრეზიდენტად. სამჯერ ვიყავი არჩეული ამ პოსტზე, ორჯერ - გენერალურ მდივნად. ჩემი ხელმოწერაა ფედერაციის დამფუძნებელ ოქმზე, მისი ერთ-ერთი დამაარსებელი ვარ. მას შემდეგ აქ ვარ. მათ შორის - უკიდურესი გაჭირვების დროს, როცა ხაბულიანი სამი წელი მოსკოვში იყო გაქცეული, ჩემზე იყო მმართველობა გადმოსული, როგორც ვიცე-პრეზიდენტზე. არც დენი იყო, არც - წყალი და არც არაფერი ფედერაციაში, თუმცა არც ერთი საერთაშორისო ტურნირი არ ჩამიშლია, მაინც ვატარებდი.

მახსოვს, დენი რომ არ იყო, ხელის საბეჭდი მანქანა ვიყიდე და იმაზე ვბეჭდავდი წერილებს - არ მინდოდა, რაკი პრეზიდენტი არ იყო, ძიუდოს ფედერაცია სხვაზე ნაკლები გამოჩენილიყო.

უკვე 27 წელიწადია, ფედერაციაში ვარ, თუმცა დრო მოვა და მეც წავალ. ენთუზიაზმი ისევ დიდია და მინდა, ამ ოლიმპიურ ციკლში დავრჩე, მერე კი, ალბათ, დარაჯად მაინც დამტოვებენ.

აქვე გეტყვით, რომ მთლიანობაში, 60 წელიწადი ვიყავი ძიუდოში. განათლებით აგრონომი ვარ, ფიზკულტურის ინსტიტუტიც დავამთავრე, პოლიციის მაიორიც ვარ და ხაბულიანი ერთ-ერთი რაიონის პოლიციის უფროსობასაც მთავაზობდა, მაგრამ არ დავთანხმდი, ძიუდოს ვერ ვუღალატე.

**- კარიერაც საკმაოდ წარმატებული გქონდათ. როგორ იხსენებთ წარსულს, რაზე გწყდებათ გული?**

- ქართველებიდან თბილისის ტურნირის პირველი ჩემპიონი ვარ - 1970 წელს დაარსდა, როცა პრიზიორი გავხდი, 1971-ში კი მე და გურამ გოგოლაურმა მოვიგეთ. ამის შემდეგაც მქონდა მედლები, 1975 წელს კი სპორტიდან გამაცილეს. ევროპის ჩემპიონი 1968 წელს გავხდი. ჩემს ბედზე, იმ წელს ოლიმპიადის პროგრამაში ძიუდო არ იყო, თორემ აუცილებლად მომიწევდა იქ გამოსვლა. 1972 წელს ნაკრებში აღარ ვიყავი უკვე. თუმცა 1971 წელს ისევ ვიჭიდავე ევროპაზე, იქ გუნდურში მხოლოდ მე მოვიგე ყველა შეხვედრა. საერთაშორისო ტურნირებშიც ბევრი გამარჯვება მიზეიმია, ერთხელ 71 კილოგრამშიც გავიმარჯვე. დინამიადებიც ბევრჯერ მომიგია გუნდურში - 5-6-ჯერ.

**- ყველაფერთან ერთად, დიდი ოჯახის პაპაც ბრძანდებით.**

- მართლაც დიდი ოჯახი მყავს - 4 შვილი და 10 შვილიშვილი. შარშან ქორწინების 50 წლის იუბილე გადავიხადე და ყველას ერთად მოვუყარე თავი. უფროსი ვაჟი 60 კილოგრამში საქართველოს ჩემპიონიც გახდა, მერე კი ქალთა ნაკრების მწვრთნელი იყო "დინამოში" გოდერძი ველიჯანაშვილთან ერთად. თეა დონღუზაშვილი, ლუდა ფერაძე, ნათია ვეშაგური და იმ თაობის გოგოები სულ მასთან იყვნენ.

მერე ჩემმა ვაჟმა მილიციაში დაიწყო მუშაობა და ძიუდოს თავი დაანება. მას ორი შვილი ჰყავს და ორივე ჭიდაობდა ძიუდოს. უმცროსი - ბექა მერე რაგბში გადავიდა, რადგან წონაში მოიმატა ძალიან. უფროსმა, ჩემმა მოსახელე ანზორმა, ადრე დაანება თავი სპორტს და დღეს საბურთალოს რაიონის სამაშველო სამსახურში მუშაობს.

დანარჩენი შვილები გოგოები არიან, თუმცა იმათგან მხოლოდ ერთი ცხოვრობს თბილისში, ერთი გერმანიაშია გათხოვილი, ერთიც - ირლანდიაში, თუმცა ქართველი მეუღლე ჰყავს, ახმეტელი. გერმანელი სიძე "ბოინგის" ქარხანაში მთავარ ინჟინრად მუშაობს. ჩემი ქორწინების აღსანიშნავი ბანკეტი მისი დაბადების დღეს დავამთხვიე - 5 აგვისტოს. ძალიან კარგი ადამიანია, ორი შვილი ჰყავთ, ქალ-ვაჟი, ირლანდიაში მცხოვრებ გოგოს კი - სამი. ამ შემოდგომაზე ორივე შვილი შვილიშვილებთან ერთად ჩამოვიდნენ საქართველოში, ბავშვები გიჟდებიან აქაურობაზე.



***

14 ოქტომბერს, ქ. დედოფლისწყაროს სპორტული დარბაზი მასპინძლობდა საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს, საბჭოთა კავშირისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული მუშაკის, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის ანზორ (ფირუზ) მარტყოფლიშვილის ტრადიციულ, რესპუბლიკურ შეჯიბრს ძიუდოში 1999-2000 წწ. დაბადებულთა შორის.

წელს ტურნირი მეთოთხმეტე გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღეს ქ. თბილისის ("ლიდერი", "ოლიმპიკი"), ყვარლის, გარდაბნის, მარნეულის, სიღნაღის, საგარეჯოს, მარტყოფის და დედოფლისწყაროს გუნდებმა.

ადგილები ასე განაწილდა: 50 კგ. წ. კატეგორიაში, I ადგილი-ზურაბ ბეჟანიშვილი (მარნეული), II ადგილი-ავთანდილ წმინდაშვილი (ყვარელი), III ადგილი-გიორგი თინაშვილი (დ.წყარო), III ადგილი-სანდრო ძამაშვილი (მარტყოფი).

55 კგ. წ. კატეგორიაში: I- ამირან დარბაისელი (საგარეჯო), II- ალეკო კურტანიძე (ყვარელი), III- გიგლა უმფრიანი (თბილისის "აკადემია"), III- ელიზბარ ხერგიანი ( მარნეული).

60 კგ. წ. კატეგორიაში: I- ნიკა კობაიძე (დ.წყარო), II- დიმიტრი გოჩელაძე (თბილისის "ლიდერი"), III-ნიკა ბასილაშვილი(საგარეჯო), III- ბექა ბუქური (დ.წყარო).

66 კგ.წ.კატეგორიაში: I-გუგა მღებრიშვილი (საგარეჯო), II- ნიკა ზვიადაური(დ.წყარო), III- სოსო მურადაშვილი (მარნეული), III-გიორგი ჯამასპიშვილი (მარტყოფი).

73 კგ.წ.კატეგორიაში: I-სოსო ებილაშვილი (მარტყოფი), II- ლაშა მათიაშვილი (საგარეჯო), III-ჯაბა ხაჭაპურიძე( თბილისის "ლიდერი"), III-გიორგი ხუციშვილი (თბილისის "ლიდერი").

73+ კგ. წ. კატეგორიაში: I- გიორგი ყარალაშვილი (თბილისის "აკადემია"), II- გიორგი გვილია (თბილისის "ლიდერი"), III- ბექა შპეგიშვილი (მარტყოფი), III-გიგა ბალარჯიშვილი (სიღნაღი).

გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ მედლებით, დიპლომებით და სპეციალური პრიზებით.

ტურნირი ჩაატარა საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ. ორგანიზატორი იყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრი.

**მასალა მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა

# საღამო ღია ცის ქვეშ და კომპოზიტორი, რომელმაც ფოროსმანზე ნაწარმოებები შექმნა



ამჯერად უკვე ღია ცის ქვეშ კლასიკური მუსიკა შემოდგომის ჰარმონიასთან შერწყმული,- ასეთ სახელს დავარქმევდი იმ საოცარ დღეს, რომელიც ხელოვნების სკოლამ, მისმა პედაგოგებმა და მოსწავლეებმა, თუ უკვე ნამოწაფარმა ახალგაზრდებმა გვაჩუქეს. დედოფლისწყაროს საზოგადოებას მიეცა საშუალება, კლასიკური მუსიკა ხმელი ფოთლების და ნახევრად გაშიშვლებული ალვის ხეების გარემოცვაში მოესმინა. მუსიკას, რომელსაც ხშირად კაცობრიობის უნივერსალურ ენასაც უწოდებენ, მასზე კომპოზიტორი ჰენდელი ამბობდა: „ძალიან დამენანებოდა, ჩემი მუსიკა რომ მხოლოდ ართობდეს ჩემს მსმენელს, მე ვცდილობდი, ისინი უკეთესი და საინტერესო გამეხადა.“ და მართლაც, თუ მუსიკისგან ადამიანი ვერაფერს იღებს, თუ ადამიანი კლასიკური მუსიკის მადლს და მისგან გადმოცემულ მონათხრობს ვერ გრძნობს, მიმაჩნია, რომ ამ ადამიანსზევრი რამ დაუკარგავს.

იმისათვის, რომ მუსიკოსმა უფრო მეტ ადამიანს აუხილოს თვალი მუსიკაში, მათ რაიმე უფრო ორიგინალური უნდა მიაწოდო, რომ შეძლოს ნებისმიერ კომპოზიციაში სიკეთის მარცვლის დანახვა. რამდენიმე დღის წინ სწორედ ასეთი ორიგინალური საღამო გვაჩუქა ხელოვნების სკოლამ.... სკოლის აივანზე ორი ფორტეპიანო, უამრავი ნოტების დასადები და ნოტებია გამოფენილი, სცენაზე ძირს სიმბოლურად ხმელი ფოთლებია დაყრილი, ქოთნებში ხასხასა ყვავილების მაგიერ შემოდგომის გამხმარფოთლებიანი ტოტებია ჩაწყობილი. ამ ყველაფერს ემატება ის, რომ მაღლა ლურჯი ზეცა გვედგა და გვერდით კი შეყვითლებულფოთლებიანი ვერხვები ირწეოდნენ. უფრო უკეთ რომ აღვწერო, ქუჩაში ჩვეული ცხოვრება მიდიოდა, ავტომანქანები და ადამიანები ჩვეულებრივი რიტმით მიდი-მოდიოდნენ, ხოლო ხელოვნების სკოლის აივანიდან, სადაც მაყურებელთა რიგებში არცთუ ისე მცირე მოქალაქე იჯდა, ბეთხოვენის, მოცარტის, გლინკას, გლიერის, ტურიაშვილის, რეხვიაშვილის და ირაკლი კიკილაშვილის კომპოზიციების ჰანგები იფრქვეოდა. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ არა ხელოვნების სკოლის მხოლოდ ამჟამინდელი მოსწავლეები, არამედ კურსდამთავრებულებიც. ღონისძიების წამყვანებიც სწორედ კურსდამთავრებული მოსწავლეები ლიკა ბახუტაშვილი, მარიამ ხარაზიშვილი, თამთა ღორაკუდაშვილი და სალომე სიმონიძე გახლდნენ. საღამო პედაგოგ ნინო მანჯაფარაშვილის გუნდმა გახსნა, რეხვიაშვილის „სიმღერა თბილისზე“, რომელიც მეორე კლასის მოსწავლეებმა შეასრულეს, კონცერტმეისტერი გახლდათ მუსიკის პედაგოგი ნინო სვანიძე. პედაგოგების ევგენია ხუციშვილის, ნინო ნიკვაშვილის, ხათუნა პოპიაშვილის, თამუნა კიკილაშვილის, თამილა ნადირაშვილის, ლია ხაჩიაშვილის, მანანა მაჭარაშვილის, ნინო ლაპიაშვილის, დარეჯან შანშაშვილის, მარიამ კიკილაშვილის მოსწავლეების მიერ გაჟღერდა ბეთხოვენის „ცეკვა“, რუსა მორჩილაძის „მიფრინავს დრო“, გლინკას „ტოროლა“, გლიერის „მაზურკა“ და „ესკიზი“, კაბალევსკის „სტაკატო პრელუდია“, ტურიაშვილის „ანდატე კანტაბილე“, მერაბიშვილის „მელოდია”, იოჰან სებასტიან ბახის „ბრამსისი” , „უნგრული ცეკვა“ , „რივერტანგო“ და ირაკლი კიკილაშვილის „ვალსი“. ნაწარმოებები შეასწრულეს სკოლის წარჩინებულმა მოსწავლეებმა გვანცა ყავრელიშვილმა, სალომე შალვაშვილმა, მარიამ ღორაკუდაშვილმა, კატო გვენეტაძემ, თეკლე გიგოლაშვილმა, კაროლინა ავაქიანმა, ანა ჩუთლაშვილმა, აბრაამ ახალაურმა, ნინო ფიროსმანაშვილმა, თამარ ჯეთერიშვილმა, ლიკა გიგოლაშვილმა, ლიკა ბახუტაშვილმა, და მალვინა ისმაილოვამ. ღონისძიებაზე რამდენჯერმე შესრულდა ხელოვნების სკოლის ანსამბლის საგუნდო სიმღერები, რომელსაც ხელმძღვანელობს პედაგოგი მარინა პირზადოვა.

კონცერტის მსვლელობისას შეუმჩნეველი არ დარჩენილა მუსიკალური ნაწარმოებების გამოფენილი ფურცლები, ეს გამოფენა შემთხვევითი არ გახლდათ. ეს დღე ხელოვნების სკოლამ ირაკლი კიკილაშვილის ახლადგამოცემული ნაწარმოებების წიგნის „ჩემი ერთი დღე” პრეზენტაციას დაუკავშირა. სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, ბატონი ირაკლი იქ არ გახლდათ, თუმცა ღონისძიებას ესწრებოდნენ მისი მეუღლე ქალბატონი დარეჯან შანშაშვილი და ქალიშვილი თამარ კიკილაშვილი. ხელოვნების სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ და ამ ღონისძიების ორგანიზატორმა ქალბატონმა ლია ხაჩიაშვილმა გაგვაცნო ირაკლი კიკილაშვილის მოკლე ბიოგრაფია.

ირაკლი სიმონის ძე კიკილაშვილი დაიბადა 1949 წლის 26 მაისს ბოლნისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში, შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად დედოფლისწყაროში გადმოდის, სადაც ბატონმა ირაკლიმ დაამთავრა ქართულ-რუსული საშუალო სკოლა, პარალელურად სამუსიკო სკოლაში გადიოდა სწავლებას. 1966 წელს ჩააბარა თბილისის მესამე სამუსიკო სასწავლებელში-ქსენია ჯიქიას კლასში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. 1970 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საკომპოზიციო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, ხოლო 1971 წელს საფორტეპიანო განყოფილებაზე, პროფესორ ნოდარ გაბუნიას და ელეონორა ექსანიშვილის კლასში.

1972 წელს სოფელ არბოშიკში იხსნება მუსიკალური სკოლა და ბატონი ირაკლი კიკილაშვილი ინიშნება სკოლის დირექტორად, სადაც ის უცვლელად 30 წლის განმავლობაში განაგებდა სკოლის მუშაობას. ნაწარმოებების წერა ჯერ კიდევ მუსიკალურ სასწავლებელში სწავლის დროს დაიწყო, სადაც მისი პირველი შემფასებელი ქალბატონი ქსენია გახლდათ. მისი რჩევითვე აგრძელებდა წერას და ამან გადააწყვეტინა, ჩაებარებინა კონსერვატორიის საკომპოზიციო კლასში. მაშინ მას ჰქონდა დაწერილი ეტიუდები და საბავშვო პიესები. 1975 წლის ზაფხულში, სტუმრობდა რა ნიკო ფიროსმანის გალერეას და ათვალიერებდა მის ორიგინალებს, მიზნად დაისახა, რომ შეექმნა ფოროსმანის თითოეული ნახატის მიხედვით ნაწარმოებები და ეს ოცნება აისრულა, 5 თვეში უკვე ყველა ნახატზე ნაწარმოები მზად ჰქონდა. სავიოლინო ნაწარმოებების შექმნა კი მისი შვილის თამუნას სავიოლინო განყოფილებაზე სწავლამ უბიძგა. არბოშიკიდან გადმოსვლის შემდეგ ბატონი ირაკლი ინიშნება ფოლკლორის ცენტრის დირექტორად და პარალელურად სარაიონო ვაჟთა გუნდის ხელმძღვანელად დედოფლისწყაროში. ბატონი ირაკლი კიკილაშვილი, არბოშიკში მუსიკალური სკოლის დირექტორად მუშაობის პერიოდში, სათავეში ედგა არბოშიკის ვაჟთა გუნდს, რომელმაც ამიერკავკასიის ფესტივალზე ბაქოში აიღო საპატიო დიპლომი და მედლები. ასევე გუნდი გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიაში. და აი, ამდენი განვლილი წლების შემდეგ, წელს ახდა ბატონი ირაკლის ოცნება და მისმა ქალიშვილმა რუსუდან კიკილაშვილმა დაბეჭდა და გამოსცა ნაწარმოებების პირველი კრებული „საბავშვო პიესები”, რომელიც მიუძღვნა მამის 65 წლისთავს. უკვე მრავალი წელია ირაკლი კიკილაშვილის ნაწარმოებებს საკონცერტო თუ საგამოცდო რეპერტუარისთვის ირჩევენ მუსიკალურ სკოლებში. მისი ნაწარმოებები ჟღერს ზესტაფონის, ბორჯომის, ქუთაისის სამუსიკო სკოლებში. მეორე წიგნიც მზადაა გამოსაცემად - „ფიროსმანის ნახატები” და მესამე- „სავიოლინო კლასის კრებული.”






კონცერტის დასასრულს მონაწილე ბავშვებს ხელოვნების სკოლის დირექტორმა მარიამ კიკილაშვილმა მადლობის სიგელები გადასცა სანიმუშო სწავლისთვის, ხოლო წარჩინებულ მოსწავლეებს გადაეცათ ირაკლი კიკილაშვილის ახლაგდამოცემული კრებული „ჩემი ერთი დღე”.

ღონისძიების დასასრულს გავესაუბრეთ ირაკლი კიკილაშვილის მეუღლეს ქალბატონ დარეჯანს და ვკითხეთ, თუ როგორი შეგრძნებაა მეუღლის წიგნის პრეზენტაციაზე დასწრება და რას ნიშნავდა ეს დღე მისთვის, მან თქვა: ძალიან კმაყოფილი ვარ, ღონისძიებაც ისეთივე ლამაზი და გემრიელი გამოვიდა, როგორი გულითაც თავად ჩემი მეუღლე ეწევა შემოქმედებით წვას. მე მომსწრე ვარ მისი თითოეული ნაწარმოების შექმნის, თითქმის ჩემს თვალწინ იქმნებოდა მისი ყველა ნაწარმოები, ჩემს ყურში გაიარა მისმა ყველა ბგერამ, თუ როგორ ცდილობდა და წვალობდა თავისი ემოციების გადმოცემას. მე დღეს ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა სკოლამ ის დააფასა და რომ მას პატივი მიაგეს. ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ირაკლის ნაწარმოებები, მხოლოდ დედოფლისწყაროში არ სრულდება. ის ისმის თბილისის მუსიკალურ სკოლებში, ის ჟღერს ზესტაფონში, ბორჯომსა და ქუთაისში, სადაც ბევრად უფრო ფართომასშტაბიანი დახვედრა და პრეზენტაციები მოუწყვიათ და კიდევ აპირებენ, მომავალშიც მოაწყონ. ირაკლის საკმაოდ დიდი სამეგობრო წრე ჰყავს, ისინი კონსერვატორიიდან მოდიან ერთად ,დღეს ყველა მათგანი საქართველოს მასშტაბით არიან გაბნეულები და ეწევიან მუსიკალურ ცხოვრებას სხვადასხვა სკოლებში, სწორედ აქედან გამომდინარე, მისმა მეგობრებმა იციან მისი ფასი და პოპულარიზაციასაც არ აკლებენ, რისთვისაც მადლობა მინდა მათაც გადავუხადო. მადლობა ჩვენს სკოლას, იმისთვის, რომ ასეთი პრეზენტაცია მოაწყო. მადლობა ყველა მონაწილეს და ორგანიზატორს.”

ჩვენთან კომენტარი გააკეთა ასევე ქალბატონმა ლია ხაჩიაშვილმა: - „ეს ცოტა უფრო ადრე, ივნისის თვეში გვქონდა დაგეგმილი, თუმცა, რიგი მიზეზების გამო, მოხდა ისე, რომ ღონისძიება გადავდეთ. მაშინ ამ კონცერტში ჩართული გვყავდა მეექვსე კლასელებიც, რომლებიც დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები იყვნენ, მართალია, ახლა მათ უკვე ხელოვნების სკოლა დაამთავრეს, მაგრამ იმდენად სურდათ ამ პროექტში მონაწილეობა მიეღოთ, რომ წარმოუდგენელი იქნებოდა, ისინი არ მოგვეწვია და არ ჩაგვერთო ღონისძიებაში. დღევანდელ საღამოს ჩვენ ახლანდელი და კურსდამთავრებული მოსწავლეების მიერ შესრულებული ნაწარმოებები წარმოგიდგინეთ. და კიდევ, მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი რაიონის ცხოვრებაში ის, რომ გვყავს საკუთარი კომპოზიტორი ირაკლი კიკილაშვილის სახით. ვფიქრობ, მართლაც ლამაზი და ბედნიერი დღე ვაჩუქეთ კლასიკური მუსიკის მოყვარულ საზოგადოებას. მინდა აღვნიშნო, რომ გარდა იმისა, რომ ამ საღამოს ორგანიზატორობას თავად ვუწევდი, არ მინდა გამოგრჩეთ, რომ ღონისძიების ორგანიზებაში დიდი მხარდაჭერა მქონდა დირექტორის მარიამ კიკილაშვილის მხრიდან და მხატვრული გაფორმების კუთხით გვერდში მედგა აკაკი მერაბიშვილი.”

შემოდგომის მუსიკის საღამომ მართლაც შთამბეჭდავი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე, კლასიკური მუსიკა და ბუნება მართლაც საოცრად ერწყმის ერთმანეთს. ლოგიკურია, რომ ის მუხტი და ის ემოცია, რაც კომპოზიტორებმა ჩადეს თავის ნაწარმოებებში ბევრად უფრო გასაგები და შესაცნობი გახდა ღია ცის ქვეშ, ვიდრე დახურულ სამყაროში. ასეთ გარემოში ბევრად უფრო შესაცნობი გახდა თავად ირაკლი კიკილაშვილის ნაწარმოებებიც, რომელიც ქიზიყურ ხასიათში გამჯდარი მძიმე და მსუყე ბგერებით თითქოსდა მოგვითხრობს იმ მძიმე ისტორაის, რაც ჩვენს კუთხეს თავს გადახდომია.

ლალი მეხრიშვილი

# „მოკისკისე ალუბლები“



დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის საპატიო თავმჯდომარის, ვანო ნატროშვილის პატრონაჟით, თბილისში, მწერალთა სახლში, გაიმართა ამავე ასოციაციის წევრის, პოეტი და პუბლიცისტი ქალბატონის, ნანი საბანაძის პოეზიის საღამო „მოკისკისე ალუბლები“.

პროექტის ავტორი, ინიციატორი და ორგანიზატორი გახლდათ ამავე თანათავმჯდომარე ნანა ჭიჭინაძე, პროექტის მხარდამჭერი-დედოფლისწყაროს მუნიციალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, სპონსორი-პაატა გაჩეჩილაძე (პოეტის ვაჟიშვილი).

მხოლოდ გამორჩეულ ადამიანთა ხვედრია პოეზიასთან შეტწყმა, შეგრძნება, მუსიკალურ ბგერათა შეკვრა და ლექსად ჩამოქანდაკება. ასეთ პოეტთა რიცხვს განეკუთვნება ნანი საბანაძე. მისი შემოქმედება პოეტურ ასპარეზზე მეტად შრომატევადი და ნაყოფიერი აღმოჩნდა- რამდენიმე წიგნის ავტორია, მათ შორის ორ კრებულში მხოლოდ საბავშვო ლექსებია წარმოდგენილი.

პოეზიის საღამოს უძღვებოდა ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი ქეთევან ნათელაძე, რომელმაც ნანის შემოქმედების შესახებ მოუთხრო დამსწრე საზოგადოებას და ჩვეული მომხიბვლელობით წაიკითხა პოეტის ლექსები. შემდეგ ასპარეზი თავად საღამოს მთავარ გმირს დაუთმო. პოეტმა პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი ლექსები წაიკითხა.

მეტად შთამბეჭდავი იყო გამორჩენილი პოეტის, წმინდა გიორგის ოქროს ორდენისა და არაერთი ჯილდოს თუ პრემიის მფლობელის მზია ხეთაგურის გამოსვლა. მან მაღალი შეფასება მისცა ნანი საბანაძის პოეზიას და ხაზი გაუსვა, რომ ის საუკეთესო საბავშვო პოეტიც გახლავთ.

საბავშვო ლექსები ნანი საბანაძის კრებულიდან მხატვრულად წაიკითხეს: თბილისის 53-ე საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლემ დავით მაჭარაშვილმა და პირველი კლასიკური გიმნაზიის მეათე კლასის წარჩინებულმა მოსწავლემ ნატალი რევაზიშვილმა.

პოეტს თბილი სიტყვებით მიმართეს „მეტრის“ ნომინანტებმა: მხატვარმა გივი თოიძემ და კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა, დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის წევრმა, ჟურნალისტმა ინგა შიოლაშვილმა, ასევე სტუდენტმა ნატალი გონაშვილმა. საკუთარი ლექსები წაიკითხეს პოეტმა მანანა დანგაძემ, თამარ ნასრაშვილმა, მომღერალმა ენრიკო ჯანელიძემ და თავად საღამოს წამყვანმა ქეთევან ნათელაძემ.

მწერალთა სახლში უაღრესად ამაღლებული განწყობა სუფევდა. მიზეზი გახლდათ მაღალ დონეზე ორგანიზებული პოეზიის საღამო, რომელიც გაჯერებული იყო ხალასი ქართული სიტყვით და სიმღერით. მსმენელი დაატკბო ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლის, გრანპრის მფლობელის მარინე კოლხიდაშვილის მიერ ჩონგურზე შესრულებულმა მელოდიებმა. ეს იყო კიდევ ერთი ბედნიერი დღე პოეტისა და იმ ადამიანებისათვის, ვისთვისაც ძარღვიანი ქართული სიტყვა სულიერ საზრდოა.

# ზოგი რამ ჯუმბერ უთრუთაშვილის ლექსთა კრებულ „გოლგოთაზე”




ახლახანს წიგნების თაროები დაამშვენა პოეტ ჯუმბერ უთრუთაშვილის ლექსთა კრებულმა „გოლგოთა”. წავიკითხე და სიმართლე გითხრათ, მასში წამოჭრილმა იდეებმა დამაფიქრა.

ეს პოეტის მიერ შექმნილი, მეოთხე წიგნია, ვკითხულობთ მას და ვხვდებით, რომ სტრიქონები სევდანარევია და ცრემლებითაა გაჟღენთილი. მან ხომ ცხოვრებაში დიდი ტრაგედიები გადაიტანა.

„ლექსო, ამოგთქომ, ოხერო!”.... ლექსმა მაინც ამოხეთქა გულიდან. „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიან, რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან, უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან.”

ვადიდებ იმ ლექსს, ოთხმოცსმიტანებულ კაცს გულში რომ არ დაეტია და ჩვენს სამსაჯავროზე გამოიტანა.

ჯუმბერ უთრუთაშვილის შემოქმედების ძირითადი დედააზრი სიკეთე და სიკეთის ქმნაა.

„ღმერთო, უფალო, ეს არი,
ჩემი ნატვრა და მუდარა,
კეთილის ქმნაში მომკალი,
გულს მეტი არა უნდა რა!”

ოთხმოც წელს მიღწეულ კაცს, რომ კიდევ ლექსი ესტუმრება, დიდი კაცია, აბა რა არის! „ლექსებით გაჟღენთილი ვარ, როგორც ღრუბელი წვიმითო,”-წერს სახალხო მთქმელი და ეს ყველაზე მეტად ამ საოცარ კაცს ესადაგება.

მას აქვს თავისი აზრი და შეხედულება, რასაც ვერავინ შეაცვლევინებს. იგი ქიზიყელივით მართალი კაცია, თავადაც ქიზიყელია და ნამსახური. ეს წიგნი მისი მონდომებით შეიქმნა და გამოვიდა.

„მოსავალი ის არის, რაც ქვევრშია და ბეღელშია.”

„ლექსი ერთი რამ არი ამ სოფლის საქმეში,”-წერს შემოქმედი მამუკა ბარათაშვილი XVIII საუკუნეში, მართლაც, რომ... ეს წიგნი მისი დასტურია.

ეგული ყოჩიაშვილი

# შემოდგომის ზეიმი მეორე ბაგა-ბაღში



ამ დღეებში ქალაქ დედოფლისწყაროს მეორე საბავშვო ბაგა-ბაღის ოთხ-ხუთ წლიან აღსაზრდელებში ჩატარდა შემოდგომის ზეიმი. პედაგოგმა ნია რეხვიაშვილმა, თანაშემწეებმა ნინო ელოიანმა და ეთერ ლობჯანიძემ ბავშვებს შემოდგომის თემასთან დაკავშირებით ბერიკონების ინსცენირება განასახიერებინეს. ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა ბაღის მუსიკის პედაგოგი აზა ლაპიაშვილი. ბავშვებმა წარმოთქვეს ლექსები, შეასრულეს სიმღერები, იცეკვეს „ქართული” და დადგეს „ცანგალა და გოგონა”. ღონისძიების დასასრულს სპეციალურად პატარებისთვის მომზადებულ თათარის დიდ ქვაბში ეთერი ბებომ ჩურჩხელები ამოუვლო ბავშვებს. ღონისძიებას ეტყობოდა, რომ არც პედაგოგებისგან აკლდა მზრუნველობა და არც მშობლებისგან, რათა ზეიმი მართლაც ლამაზად და მაღალ დონეზე განხორციელებულიყო.

ლალი მეხრიშვილი



# კოლორიტი, რომელიც ხალხს ლექსით ლოცავს

84 წლის მოხუცს ,რომელიც ჩვენი ქალაქის ქუჩებში გამვლელებს ექსპრომტებით ლოცავს და ახალისებს, ყველა დედოფლისწყაროელი იცნობს.

„მე შენ ქართულად დაგლოცავ,
ქართველი ხარ, ქრისტიანი,
იცოცხლე და იდღეგრძელე,
იყავ მხნე და იღბლიანი.“

- ეს სიტყვებიც ალბათ არაერთხელ მოგისმენიათ... არ იცვლება ვალიკო პატატიშვილის სიყვარული და კეთილი სურვილები, რომელსაც ის თანამემამულეების მიმართ გამოხატავს, იცვლებიან მხოლოდ პერსონაჟები.

ჩვენებური კოლორიტის შემოქმედებას ამჯერად სხვა კუთხით წარმოგიდგენთ.

ეს ლექსი ეძღვნება მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მებრძოლებს და ამ ომიდან დაბრუნებულ ომის ვეტერანებს:

„თქვენ ვერ გაგტეხათ მტრის ურდომ,
ჰიტლერის მიერ გაწვრთნილმა,
წინ მიგიძღვოდათ ხატება
სტალინისა და ქვეყნისა.
ფაშიზმის დასამარცხებლად
სიცოცხლეს არა ზოგავდით,
და დაუბრუნდით ოჯახებს
იარებით და ტკივილით.
თქვენით ვართ თავისუფალნი,
არ დავივიწყებთ თქვენს ამაგს,
და ამიტომაც 9 მაისს
უწინდებურად გიხსენებთ“.



# „სააკაშვილის, მისი მთავრობის და ლიდერების სახეა ის ნიღბიანი ადამიანი, რომელიც ვიდეოჩანაწერებში ხალხს აუპატიურებს“



**ირაკლი ღარიბაშვილი: „ვერ შევატყვე, რომ ნიკა გვარამიას რაღაც აქვს დასამალი“**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობის სხდომის დაწყებისას "რუსთავი 2" - ის საქმეს და ნიკა გვარამიას განცხადებას გამოეხმაურა.

როგორც ღარიბაშვილმა განაცხადა, გუშინ მოისმინა "რუსთავი 2"-ის გენერალური დირექტორის გაუგებარი განცხადება, თუმცა მიუხედავად ამისა, გუშინვე ჰქონდა საუბარი მთავარ პროკურორთან.

"ვიცი, რომ გუშინვე დაიწყო ამ საქმის შესწავლა და გამოძიება, ეს ერთი შეხედვით ჰგავს პროვოკაციას, თუმცა, რა თქმა უნდა, ვფიქრობ, რომ ეს საქმე უნდა შეისწავლონ და ბოლომდე გამოიძიონ. ამ ადამიანს თუ ვინმე რაღაც ვიდეოთი ემუქრებოდა, ჯობია ეს ჩვენც ვიცოდეთ, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მას რაღაც დასამალი აქვს", - განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, "ნაციონალურ მოძრაობას" პოლიტიკაში დარჩენის მორალური უფლება არ აქვს. პრემიერმა ეს უკვე უკრაინულ მედიაში ე.წ. სამეგრელოს კასრების ვიდეოკადრების გავრცელების საკითხზე საუბრისას განაცხადა.

ღარიბაშვილის თქმით, "ნაციონალური მოძრაობის" სიმბოლო სწორედ ის ნიღბიანი მაკაცია, რომელიც აღნიშნულ ვიდეომასალაში მოქალაქეს აუპატიურებს.

"მოგეხსენებათ, გუშინაც გავრცელდა ე.წ. სამეგრელოს კასრების ვიდეოები, სადაც ცხადად ჩანს, თუ როგორ ექცეოდა "ნაციონალური მოძრაობა" საკუთარ მოქალაქეებს. ამ კადრებში აღწერილია საშინელი წამების სცენები. მინდა, ყველას გითხრათ, რომ მსხვერპლნი არიან ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც სამეგრელოში ცხოვრობენ. მათ არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ. მე ვიცი ერთი ადამიანის ისტორია, რომელიც სახლიდან ღამის 3 საათზე მოიტაცეს, მის ორსულ მეუღლეს კი სასტიკად გაუსწორდნენ, რის შემდეგაც მოცული მოეშალა, ეს კაცი წაიყვანეს და აწამეს ისე, როგორც თქვენ ვიდეოში ნახეთ, ხოლო შემდეგ, იმის გამო, რომ მას ვერ ააღებინეს საკუთარ თავზე არჩადენილი დანაშაული, სხვა მიზეზით - ნარკოტიკების ჩადებით გაასამართლეს. ამას რატომ ვყვები? - ეს დღეები მესმის შეფასებები მათ შორის ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლების მხრიდან. მათ კიდევ აქვთ რაღაც პრეტენზიები მაშინ, როცა ამ ადამიანებს არ აქვთ არავითარი მორალური და სხვა ტიპის უფლება საზოგადოებას ელაპარაკონ ისეთი ენით, როგორითაც ელაპარაკებიან" - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, იმის მაგივრად, რომ ამ 3 წლის განმავლობაში "ნაციონალურ მოძრაობას" ყოველ დღე ბოდიში მოეხადა საზოგადოებისთვის, მათ მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაულებისთვის, ისინი კვლავაც აგრძელებენ უტიფრად საზოგადოების შეურაცხყოფას და ცდილობენ ქვეყანაში არეულობისა და ქაოსის შექმნას.

"დარწმუნებული ვარ, საქართველოში ძნელად თუ მოიძებნება რამდენიმე ათეული ადამიანი, რომლისთვისაც მისაღებია ის, რაც ხდება ვიდეოებში - გაუპატიურება და არაადამიანური მოპყრობა. სააკაშვილის, მისი მთავრობის და ლიდერების სახეა ის ნიღბიანი ადამიანი, რომელიც ვიდეოჩანაწერებში ხალხს აუპატიურებს. ეს არის ამ ორგანიზაციის სიმბოლო", - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერმა განმარტა, აღნიშნული ვიდეოკადრები პროკურატურაში, სისხლის სამართლის საქმეებში დევს:

"ჩემთვის მართლა გასაკვირია, რომ ექსპერტები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები აქცენტებს აკეთებენ არა იმაზე, რაც ხდებოდა წლების განმავლობაში საქართველოში, არამედ იმაზე, თუ როგორ მოხდა ამ ვიდეოების გავრცელება და რატომ არ გაანადგურა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. მე მგონი, ამ ადამიანებს არც იმდენი ცოდნა აქვთ, რომ ასეთი მასალის განადგურება არავის არ შეუძლია. ეს მასალები დევს საქმეში და პროკურატურაში ინახება. ასევე, მე ვიცი, რომ ასლები გადაცემული აქვთ დაცვის და ბრალდების მხარეებს".

# „ფეისბუკის“ აზრით

## ვინ როგორ აფასებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს „ფეისბუკის“ პრიზმაში

დღეს ქართული სოციალური ქსელის მთავარი განსახილველი თემა „რუსთავი 2“-ის საქმე და უკრაინულ პორტალზე კიდევ ერთხელ გამოქვეყნებული წამების შემზარავი კადრები იყო. 23 ოქტომბრის "ფეისბუკის" პრიზმაში დასანახად გთავაზობთ რამდენიმე პოპულარულ "ფეისბუკსტატუსს":

სალომე ზურაბიშვილი, **საქართველოს საგარეო საქმეთა ექსმინისტრი:**

"ეს გადაცდა ყველა ზომიერების ნორმას... ასეთი განცხადება სწორედაც იმას უწყობს ხელს, რასაც, ვითომცდა, პრევენციას უკეთებს. "ნაცების" პროვოკაციებს ეხმაურება და ლეგიტიმაციას აძლევს! მთავრობას რომ ბევრი ნაკლი აქვს, ფაქტია, მაგრამ ეს იმის საფუძველი ვერ იქნება, რომ "ნაცების" სტრატეგიას მხარი აუბა! პირადმა ამბიციამ და ქიშპობამ როგორ უნდა დაგაბრმავოს იმ დონეზე, რომ "ნაცების" ატეხილ სამოქალაქო დაპირისპირების სცენარს პრეზიდენტის ინსტიტუტიდან გაახმაურო და ლეგიტიმაცია მისცე?!

პრეზიდენტის განცხადების შესახებ გაკეთებულ კომენტარის შემდეგ მთხოვენ, პრემიერის გამოსვლაც შევაფასო. მესმის, რომ ამ ნიშნისმოგებით მიწვევენ რაღაც ორ მხარეს შორის კამათში. სულაც არ მერიდება და მგონი, არ მახასიათებს ზედმეტი სიფრთხილე თუ მორიდება ხელისუფლების მიმართ!

პრემიერის დღევანდელი განცხადებები მიუთითებს მის სრულ პოლიტიკურ გამოუცდელობასა და უუნარობაზე! და გვიჩვენებს, რომ აზრზე არ არის რა შეიძლება თქვას მთავრობის მეთაურმა და რას ვერ იტყვის მტკიცებულებების გარეშე! ეშლება რა კერძო პირისთვის დაშვებული თავისუფალი შეფასება და მას პრემიერს, რისი უფლება გააჩნია. მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი ნორმალურ ქვეყანაში უსათოოდ დადგებოდა, მაგრამ ჩვენ რადგანაც გაურკვეველ პოლოტიკურ წყობაში ვიმყოფებით, არავინ იცის ვინ (საპარლამენტო უმრავლესობამ, თუ გარეთ მყოფმა ივანიშვილმა თუ კიდევ თავად პრემიერმა) უნდა დააყენოს ეგ საკითხი. ფაქტია, რომ თავისი გაუაზრებელი განცხადებებით პრემიერი თავის მთავრობას და კოალიციას ასუსტებს და წყალს უყენებს!

მაგრამ ეს არ ცვლის ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს: საკუთარივე აღიარებით, "ნაციონალები" ცდილობენ ყველა არსებული ხერხით ვითარება დაძაბონ და არეულობა გამოიწვიონ! სავარაუდოდ, აკეთებენ იმას, რისი პრაქტიკული გა-









მოცდილებაც გააჩნიათ (შანტაჟები და სხვა), ან იმას, რითაც იმედოვნებენმ რომ უცხოელებს შეაშფოთებენ (მაგალითად, პრეზიდენტის ბიბლიოთეკის გაფერადება) და ცდილობენ სამოქალაქო დაპირისპირების წინაპირობები შექმნან... პრევენციულ ზომების ვერ მოფიქრება, რათა "ნაციონალებს" მანიპულირების საშუალება გამოაცალო ხელიდან, ასევე პოლიტიკური ხედვისა და სტრატეგიის არ არსებობა არა მხოლოდ პრემიერის, არამედ მთლიანად მმართველი კოალიციის სერიოზულ პოლიტიკურ კრახზე მიუთითებს. ამითი საკუთარ თავს და სამომავლოდ საარჩევნო შანსებს აზარალებენ!

პრეზიდენტის განაცხადი კი სახელმწიფოს უქმნის სწორედ იმ საფრთხეს, რითიც გვემუქრებიან "ნაციონალები!" პირადი მიზნების გამო ("ნაციონალების" იმედი აქვს თუ უცხოელებს თავს აწონებს ვითომდა მისი ზეპარტიულობით) სამოქალაქო დაპირისპირების წინასწარმეტყველება მორალურ დანაშაულად აღიქმება სახელმწიფოს წინაშე!"

რომან გოცირიძე, **ექსპერტი:**

„გავა დრო და ყველა წესიერ ადამიანს მოუწევს კითხვაზე პასუხის გაცემა: სად იყავი, როცა უჭირდა „რუსთავი 2“-ს? შეიძლება მოვლენები ისე განვითარდეს, რომ ჩვენი შვილების წინაშეც მოგვიწიოს პასუხის გაცემა.

„რუსთავი 2“ -ის დამარცხების შემდეგ სულ სხვა ქვეყანაში აღმოვჩნდებით. უკვე ჩანს ამის ნიშნები. მერე უფრო ნათელი გახდება რომ მთავრობას უნდა ეს მოვლენები ერთი პარტიის პრობლემად წარმოაჩინოს. ბეცი უნდა იყო, ვერ დაინახო, რომ მთელი ქვეყანა განიცდის ამ უსამართლობას.

დიდი ხანია არა ვარ არცერთი პარტიის წევრი და არც პოლიტიკური ამბიციები მაქვს. ვდგავარ იქ, სადაც გული და სინდისი მკარნახობს! ერთ დროს ყველა ქართველი სადღაც იყო ან ვიღაცას უჭერდა მხარს. დღევანდელი ხელისუფლებაც „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრებითა და შევარდნაძის კადრებითაა წარმოდგენილი. არ არის მთავარი, გუშინ ვინ სად იყო. მთავარია, სად ხარ დღეს: სიმართლის თუ სიცრუის, გონიერების თუ უგუნურობის, მომავლის პერსპექტივის თუ წარსულის უიმედობის გვერდით.

გამოფხიზლდით, მერე არ შეგრცხვეთ!"

მარინა მუსხელიშვილი, – **საზოგადოების კვლევის ცენტრის დირექტორი, პროფესორი:**

– „თუკი გვარამიაზე რაიმე კადრები არსებობს, რატომღაც მგონია რომ მიშას დროს იქნება გადაღებული. ნეტა რატომ ვარ ასეთი მიკერძოებული? ალბათ რუსეთის გავლენის ბრალია...

მარგველაშვილის გამოსვლა არ კვალიფიცირდება როგორც მოსამართლეზე ზეწოლა?"

ლალი მაროშკინა, – **ჟურნალისტი:**

"მიშა, შენ გაწირე შენივე გუნდი!

შენ ავრცელებ ამ ბინძურ კადრებს, რომელსაც სპეციალურად ითხოვდი საუკეთესო ხარისხით ყოფილიყო გადაღებული, მერე იკეტებოდი კაბინეტში და "ტკბებოდი!"

იცი კარგად, რომ დღე-დღეზე გაგაძევებენ უკრაინიდან და ახალი გზის ძიებაში გადაწყვიტე საქართველოში სისხლის კალო დააყენო, რომ ამ "კარტინკამ" შესაძლებლობა მოგცეს შენი "არდაბრუნება სამშობლოში" აპოზიციონირო, როგორც -"იქ სამოქალაქო დაპირისპირებაა"!

შენ გაწირე ის რამოდენიმე ახალგაზრდა, რომელსაც სჯერა შენი!

შენ გაწირე გიგი უგულავა, რომელსაც ეს ჯოჯოხეთური სპექტაკლი მოუწყვე!

შენ გაწირე ჟურნალისტთა ჯგუფი-რომელიც პირადად შენზე მუშაობდა, აბა, ვითომ უფლებადამცველები კი ვიცით, რომ შენი სისხლიანი გეგმის ნაწილია!

შენ გინდა, რომ 320.000 მსჯავრადადებულმა და შენგან გამწარებულმა თითქმის მთელმა საქართველომ, პირდაპირი მნიშვნელობით, გადაუაროს 15.000 შენს მხარდამჭერს!

ისევ სისხლი გინდა, მიშიკო?

რატომ არ გასვენებს გამჩენი?

რატომ სწირავ ამ ხალხს შენ, კერპთაყვანისმცემელო!

სისხლიანი სურათი საქართველოდან "გაგიპრავებს" ამერიკელებთან გაქცევას! - აი რა არის შენი გეგმა!

ხომ არ დაგავიწყდა, რომ პიარის ერთი სკოლა დავამთავრეთ?!

ხომ არ დაგავიწყდა, რომ ყველა შენი ნაბიჯი წინასწარ ვიცი?!

არ გამოგივა საქართველოს ძაძებში გახვევა !"

ზურაბ ჯაფარიძე, – **დეპუტატი:**

პრეზიდენტით აღფრთოვანებული ხალხის საყურადღებოდ: ვიყავი შეხვედრაზე რომელიც მორიგი შეხვედრა იყო შეხვედრისთვის.

საუბარი იყო იმაზე, რომ ყველამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა არ მოხდეს პოლიტიკური პროცესების ესკალაცია და ქუჩაში გადატანა.

კონკრეტიკა ნაკლები იყო.

უფრო ზუსტად თუ ვიტყვი - საერთოდ არ იყო...

ვკითხე, აპირებთ თუ არა რაიმე ფორმით რეაგირებას იმაზე, რომ ხდება არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეოების ატვირთვა ონლაინ სივრცეში, რასაც თან სდევს ორკესტრირებული ძალადობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. თუ რამე ახდენს პოლიტიკური ტემპერატურის აწევას, ერთ-ერთი, თუ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არა, არის ეს -მეთქი.

- მანდ გაუგებარია, პასუხისმგებელი ვინ არის და ვის რა უნდა მოვუწოდოო...

ეს ისე, გადაჭარბებული მოლოდინი რომ არ გქონდეთ მისი დილის ბრიფინგის შემდეგ.

# “ქმარი ამბობს,რომ ცოლის მოკვლა აზრად არ ჰქონია” - რა ელით ბელგიაში ობლად დარჩენილ ბავშვებს?!

ბრიუსელში, საქართველოს მოქალაქემ საკუთარი მეუღლე შვილების თანდასწრებით მოკლა, - ამის შესახებ ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტმა ქეთი ქარდავამ სოციალურ ქსელში გაავრცელა. ჟურნალისტის თქმით, მოკლულ ხათუნა ტ.-ს მეუღლე პოლიციას თავად ჩაბარდა. გარდაცვლილს სამი შვილი დარჩა. მომხდარის შემდეგ, ბრალდებული მიიმალა. პოლიციამ ძებნა გამოაცხადა, თუმცა, დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში მკვლელობაში ბრალდებული პოლიციას ჩაბარდა.

მკვლელობა ბელგიის დედაქალაქში დილით, 9 საათზე მოხდა. ცოლ-ქმარს შორის დაწყებული კამათი, სამწუხაროდ, ასეთი ტრაგედიით დასრულდა. ქმარმა ცოლი სამზარეულოს დანით ფერდში სასიკვდილოდ დაჭრა. ჭრილობიდან გამოხეთქილი სისხლის ნაკადი იქ მყოფმა ბავშვებმა ვერაფრით შეაჩერეს და სასწრაფო დახმარების სამსახურში დარეკეს. ტრაგედიას 2 თვითმხილველი ჰყავდა, - ხსენებული წყვილის შვილები, რომელთა შორის უფროსი გოგონა 17 წლის არის, მომდევნო ვაჟი - 14-ის, მესამე კი – მხოლოდ 2-ის. პატარას ამ დროს ეძინა. ბავშვებს შოკიდან გამოსასვლელად ბელგიის სახელმწიფომ ფსიქოლოგები უკვე მიუჩინა. ოჯახის ახლობელი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა და რომელსაც ბრიუსელში დავუკავშირდით, ტრაგედიის დეტალებზე გვესაუბრა:

- ამ ამბისგან ისე ვარ შეძრული, ლაპარაკი მიჭირს, ჩვენ ოჯახებით ვახლობლობდით, სულ ერთად ვიყავით, ჩვენი შვილები ერთად იზრდებოდნენ; მეც სამი შვილი მყავს და მათაც... მათი უფროსი ბავშვები სკოლაში დადიან და ძალიან კარგად სწავლობენ. ბავშვებს მომავალი უკვე დაგეგმილი ჰქონდათ, - აქ ხომ სწორედ იმისთვის ჩამოვიდნენ, რომ მათ შვილებს მომავალი ჰქონოდათ.

**- ანუ მიიჩნევდნენ, რომ სამშობლოში მომავალი ვერ ექნებოდათ, მატერიალური მდგომარეობის გამო?**

- ვერ ვიტყოდი, რომ მხოლოდ მატერიალური მდგომარეობის გამო, სხვა ასპექტებიც არსებობს, რომელიც ხელისუფლებასთანაა დაკავშირებული. ყოველ შემთხვევაში, 5 წლის წინ ბელგიაში, როგორც ლტოლვილები, ისე ჩამოვიდნენ.

**- საიდან, საქართველოს რომელი კუთხიდან?**

- თბილისიდან არიან ცოლიც და ქმარიც.

**- ალბათ არც ბელგიაში ჰქონდათ დალაგებული ცხოვრება, მსგავსი ტრაგედიები დალაგებული ცხოვრების გამო არ ხდება, ცოლ-ქმარი მუშაობდა?**

- სტაბილური სამუშაოს შოვნა აქ ნამდვილად ძნელია. ქმარი ხან მუშაობდა და ხან - არა, მაგრამ, როგორც ვიცი, ფსიქიკური პრობლემები არ ჰქონია. ყველაფერი ზოგჯერ წამების განმავლობაში ხდება. არ ვიცი, რა მოხდა იმ წამების განმავლობაში, როცა მან დანა აიღო, მაგრამ ცხადია, გონება გადაუტრიალდა...

**- გავრცელებული ინფორმაციით, დანა შვილების თვალწინ ჩაარტყა და სახლიდან მაშინვე გაიქცა. სასწრაფო დახმარება მართლა ბავშვებმა გამოიძახეს?**

- დიახ, მაგრამ როგორც ვიცი, ამბობს, რომ ცოლის მოკვლა აზრად არ ჰქონია. როგორც კი გაიგო, რომ ხათუნა გარდაიცვალა, იმ წუთში წავიდა და პოლიციას ჩაბარდა.

**- უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებს რა ბედი ელით უცხოეთში?**

- ბავშვები ამჟამად სოციალური სამსახურის მეთვალყურეობის ქვეშ არიან, მათთან ფსიქოლოგები მუშაობენ. ძალიან მინდოდა, რომ შინ წამომეყვანა, მინდოდა, რომ ამ საშინელების ყველაზე მძიმე პირველი წუთები და საათები მე და ჩემს ცოლს, ჩემს შვილებს მათთვის რაღაცნაირად გადაგვეტანინებინა, ბავშვები ერთმანეთს არიან მიჩვეულები, მაგრამ პროკურორმა არ დამანება, - მითხრა, ადამიანურად კიდეც მინდა ბავშვები გაგატანო, მაგრამ ამის ნებას კანონი არ მაძლევსო.

**- ე. ი. დარწმუნებულები არიან, რომ ამ შოკს ახლობელზე მეტად ფსიქოლოგები გადაატანინებენ?**

- აქ ასეთი კანონებია. იმდენად შეძრული ვარ, რომ ვერც გავბედე ბავშვებს მომხდარზე დავლაპარაკებოდი. მათგან ყველაზე კარგად პატარაა, - 2 წლის არის, დარბის და ბურთს თამაშობს. კიდევ კარგი, თავის ბედზე ის მაინც არ ფიქრობს. უფროსებმა კი მითხრეს, რომ ბელგიიდან არაფრით არ წავალთ, აქ უნდა ვიცხოვროთო.

**- ანუ სამშობლოში, ახლობლებთან დაბრუნებას უცხო ქვეყანაში დარჩენა ურჩევნიათ?**

- ეს ბავშვები ადგილობრივ გარემოსთან უკვე ადაპტირებულები არიან, ფრანგულად სწავლობენ. მათი დედა იმას შეეწირა, რომ მათ ბელგიაში ეცხოვრათ და მომავალი ჰქონოდათ.

**- არსებული ინფორმაციით ბავშვები ბელგიის მოქალაქეები არ არიან. იმ შემთხვევაში, თუკი მათი სისხლით ნათესავები საქართველოში მათ დაბრუნებას მოითხოვენ, ადგილობრივი კანონები დააკმაყოფილებს თუ არა მათ მოთხოვნას?**



- მაინც ვინ უნდა მოითხოვოს სამშობლოში ამ ბავშვების წაყვანა? ბავშვების მამას დედა გარდაცლილი ჰყავს, თბილისში მხოლოდ მისი მოხუცი და ავადმყოფი მამა ცხოვრობს. დედის დედა და დეიდა კი ემიგრანტები არიან. დედა საბერძნეთშია, დეიდა კი - საფრანგეთში. ხათუნას დედამ ეს ამბავი რომ გაიგო, საბერძნეთიდან დამირეკა, ძალიან შემეცოდა. ქალი მთელი ცხოვრება წვალობს, ახლაც მუშაობს და კიდევ ეს უბედურება დაატყდა თავს. შვილის დაკრძალვაზე ჩამოსვლას შეძლებს თუ - არა, ისიც არ იცის. მითხრა, საბერძნეთში, საქართველოს საელჩოში მივალ და შევეხვეწები, ეგებ შვილის დაკრძალვაზე წამოსვლაში დამეხმარონო. იქნებ, თქვენც მიაწვდინოთ ამ საელჩოს ხმა, რომ ამ ქალს შვილის დაკრძალვაზე წამოსვლაში დაეხმარონ.

**- ბავშვების გადაწყვეტილების მიუხედავად, რომ უცხოეთში დარჩენა ურჩევნიათ, მათი ბედი ძალიან ტრაგიკული ჩანს, - რომელ ქვეყანაშიც არ უნდა იყოს, ბავშვთა სახლში აღზრდა მაინც მძიმე კვალს ტოვებს.**

- უმომავლოდ ყოფნას, ალბათ მაინც ასე აჯობებს. უფროსი გოგონა მალე სრულწლოვანი გახდება და შეიძლება მას ბელგიაში ბინა მისცენ. მათი დედის დაკრძალვასაც აქ ვაპირებ.

**- ჩვეულებრივი სამშვილიანი ემიგრანტისაგან ეს თავგანწირვას უდრის, - დაკრძალვისა და სასაფლაოს შენახვის ხარჯების გაღება ადვილი არ იქნება.**

- გარდაცვლილის კრემაციას არ გავაკეთებინებ. ჩემი ფულით ნამდვილად ვერ შევძლებ ამ ხარჯების გაღებას, მაგრამ ქართველები მეხმაურებიან სხვადასხვა ქვეყნიდან - მარტო არ დაგტოვებთო და მათი იმედი მაქვს.

# ხვამლის მთის გულში ხელუხლებელი მიწისქვეშა ქალაქია?

ხვამლის მთავარ ციხე-ქვაბულში, მიწის პირიდან დაახლოებით 50 მ-ზე, 1939 წელს ცნობილი მთამსვლელი ალიოშა ჯაფარიძე ავიდა. მერე განაცხადა, - იქ არაფერიაო... მაგრამ, როგორც ჩანს, მთლად ასე როდია - ხვამლის ფანტასტიკურ კარს მიღმა ნამდვილად არის რაღაც მნიშვნელოვანი, რაც ჯერ არ ვიცით. 2007 წელს ხვამლი არქეოლოგმა გურამ გაბიძაშვილმა დაზვერა და ხვამლის მთავარი ციხე-გამოქვაბულის კედლებზე დახატული ციურ მნათობთა სქემა აღმოაჩინა: ცხენზე ამხედრებული ძველეგვიპტური ისიდა და ოსირისი (ნაყოფიერებისა და წყლის ღმერთები). შემდეგ ხვამლის შესახებ რეჟისორმა დავით გოგუაძემ დოკუმენტური ფილმი გადაიღო, სადაც სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს სქემა 5604 ვარსკვლავის განლაგებას ასახავს, - სწორედ ეს წელიწადი მიიჩნევა ქართველების წელთაღრიცხვის დასაწყისად, ვიდრე ქრისტემდე. და კიდევ ამ ექსპედიციის ერთი საოცარი ნიუანსიც: როგორც ბერძნული მითები ჰყვებიან, ხვამლის მთაზე მიჯაჭვული პრომეთეს გასათავისუფლებლად გმირი ჰერაკლე გაიგზავნა. მას ებრძანა, რომ პრომეთეს საპოვნელად მდინარე ფასისს (რიონს) აჰყოლოდა, იქ გამოქვაბულიდან გადმომდინარე ჩანჩქერი უნდა გადაეგდო, გამოქვაბულში შესულიყო და პრომეთე გაეთავისუფლებინა. ადგილობრივებმა მართლაც მიასწავლეს ექსპედიციას გამოქვაბული, საიდანაც წყალი წელიწადის სხვადასხვა დროს ხან ცხენისწყლის ხეობისკენ გადავარდება, ხანაც რიონისაკენ. ამ ექსპედიციამ ზღვის დონიდან 1888 მ-ზე არქეოლოგიური ნიშნული გააკეთა, - იქ უცნაური რაღაც იყო. მიწის ზედაპირზე ოდნავ გამოკვეთილი ნახევრად წრიული ქვის ყორის მსგავსი, რომელსაც ზემოთ სამი მხრიდან პიტალო ეხები (კლდის მასივები) გადმოჰფარებოდა. თუმცა, იქაურობას დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის ბალახი ფარავდა (ხალხი ამბობს, რომ ეს ბალახი იმ ადგილას ამოდის, სადაც ამირანის (პრომეთეს) სისხლი წვეთავდა). სულ ახლახან კი ხვამლზე მორიგმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამაოგნებელი აღმოჩენები გააკეთა. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ხვამლის ექსპედიციის ხელმძღვანელთან, არქეოლოგ დავით სულხანიშვილთან:

***“მიწის ზედაპირზე ოდნავ გამოკვეთილი ნახევრად წრიული ქვის ყორის მსგავსს, დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის ბალახი ფარავდა. ხალხი ამბობს, რომ ეს ბალახი იმ ადგილას ამოდის, სადაც ამირანის (პრომეთეს) სისხლი წვეთავდა”***

- ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა თითქოს არაფრისმთქმელი მიწისზედა წრიული რელიეფის გათხრისას მთელ კომპლექსს წავაწყდით. ის ორი წრიული და ერთი ნახევრად წრიული მშრალად ნაგები ქვის გალავნისაგან შედგებოდა. მსგავს წრიულ, ძვ.წ.-ით პირველი ათასწლეულის ნაგებობებს აფხაზეთშიც ვხვდებით, მაგრამ არა ისეთ დასრულებულ კომპლექსებს, როგორიც ხვამლის მთაზეა. რაც მთავარია, ყველა ეს კომპლექსი ებჯინება მღვიმე-გამოქვაბულს, რომლებიც ამჟამად ამოქოლილია.

ზღვის დონიდან 2000 მ სიმაღლეზე 11 კომპლექსი აღმოვაჩინეთ და ყოველი მათგანი დაახლოებით სიგრძით 1,5 მ, სიგანით 70 სმ და სისქით 40 სმ ლოდით არის ამოქოლილი. შემდგომში კი, საუკუნეების განმავლობაში, შესასვლელები მიწამ, ბალახმა და ეკლიანმა ბუჩქებმა დაფარა - ამ ადგილს შემთხვევით კი არ ეწოდება მაყვლოვნის გორა.

**- დაახლოებით რაღაც ისეთს ამბობთ, რაც ზღაპრებშია აღწერილი.**

- ზღაპრებში ძირითადად ის არის აღწერილი, რაც რეალობაში ხდებოდა. გამოქვაბულში სპელეოლოგი ჩავუშვით, რომელმაც 5-6 მ-ზე ცენტრალური დარბაზი აღმოაჩინა, რომლის ფართობი დაახლოებით 15-20 კვმ-ია. ცენტრალური დარბაზი სხვა გამოქვაბულებში გადის. სამწუხაროდ, ყველა გასასვლელი ამოქოლილია - ხვამლი კირქვოვანი მასისგან შედგება, რომელიც, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში დაიშალა.

**- ეს აღმოჩენები ბუნებრივად მოითხოვს, რომ ხვამლის არქეოლოგიური შესწავლა გაგრძელდეს.**

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდს გადაწყვეტილი აქვს ხვამლზე მომავალი ექსპედიციების დაფინანსება. მხარში გვიდგას კომპანია “არდი”... თუმცა, მეფეთა განძის აღმოჩენაზე თავს ვერავინ დადებს. არა მგონია, რომ რასაც აქ მივაგნებთ ან უკვე მივაგენით, განძზე ნაკლები ღირებულებისა იყოს, - დასტურდება, რომ ჩვენი წინაპრები დაახლოებით ქრისტემდე VIII-VII საუკუნეებში თითქმის 2000 მ სიმაღლეზე მიწისქვეშა და მიწისზედა ქალაქებს აგებდნენ. ქვის ხანის სპეციალისტებმა დაახლოებით, მილიონ ორასი ათასი წლის ქვის იარაღიც აღმოაჩინეს. მასთან ერთად კი კერამიკის ჭურჭელი, ობსიდიანის დანა და ჰემატიტის საკულტო ქვაც იყო. ამ ყავისფერ ქვას ძველ საბერძნეთში, დელფოს სამისნოსა და ძველ ეგვიპტეში ამულეტად იყენებდნენ. თქმულებების მიხედვით ეგვიპტის ნაყოფიერების ღვათება ისიდას, ზეციდან მიწაზე დაშვებისას უბედურებისაგან სწორედ ეს ქვა იცავდა.

***ჩვენი ხვამლის ქვა ხელოვნების ნიმუშია - დაახლოებით ერთსანტიმეტრიან ქვაზე 8 ოთხკუთხედი და 6 სამკუთხედია ამოკვეთილი, ამ უკანასკნელებში კი ფიგურებია ჩახაზული, რომელსაც ახლა ვშიფრავთ. ეს მხოლოდ დასაწყისია, - ველით, რომ ხვამლის მთა სულ უფრო მეტად გაგვიხსნის გულს და მეტ საოცრებებს დაგვანახებს.***

ეს აღმოჩენები ბატონი გურამ გაბიძაშვილის ხსოვნას მივუძღვენით. სწორედ მას ეგულებოდა ხვამლის მთის გულში ხელუხლებელი მიწისქვეშა ქალაქი... ბედნიერება იქნება, თუკი ეს ასე იქნება და მისი აღმოჩენის მოწმე ჩვენ გავხდებით.

## „ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხომლის მთამ გადაარჩინოს...“

ძველი ბერძნული მითები გვამცნობენ, რომ პრომეთე ღმერთებისთვის ცეცხლის მოპარვის გამო, ზევსის განჩინებით, კავკასიონის მთაზე იყო მიჯაჭვული. პრომეთე იგივე ამირანია, რომელსაც გულღვიძლს ყორანი უკორტნიდა... ქრისტემდე III საუკუნეში აპოლონ როდოსელი წერდა, არგონავტებს მდინარე ფაზისის (რიონი) გადაცურვისას მთიდან პრომეთეს გმინვა ესმოდათო. იმ მთის აღწერილობა კი ხვამლისას ემთხვევა. XIX საუკუნის 50-იან წლებში პრომეთესა და არგონავტების კვალის აღმოსაჩენად ხვამლი იტალიელმა მკვლევარმა პიზაგალიმ დალაშქრა. ის წერდა: - გამაოცა იმან, რომ აქაურებმა მშვენივრად იცოდნენ პრომეთეს ამბავი და განუზომლად უხაროდათ, როცა ნადირობისას სვავებს ვხოცავდითო. არსებობს სხვა თქმულებაც: ხვამლს ნოეს კიდობანიც მიადგა და მის მიდამოებში ქართველების პირველი წინაპარი დაესახლა (ქართველები ნოეს ერთ-ერთი ძის, იაფეტის შთამომავალნი ვართ!). ვახუშტი ბატონიშვილი კი წერს: ხვამლის კლდეში არის “ქვაბი გამოკვეთილი, მტერთაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები... ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხომლის მთამ გადაარჩინოს”. ხვამლის მისტიკამ ჟიულ ვერნიმდეც კი მიაღწია და თავის რომანში “შეუპოვარი კერაბანი” აღწერა. მიუხედავად ამისა, ხვამლი პროფესიონალურად არ შესწავლილა.



# იცით თუ არა თქვენ, რომ... ანუ საინტერესო ფაქტები ყველაფრის შესახებ

იცით თუ არა თქვენ, რომ შუა საუკუნეების იტალიელმა ოსტატებმა აღმოაჩინეს, რომ ვიოლინოს სიმებისათვის იდეალურ მასალას ცხვრის ნაწლავები წარმოადგენდა. იმისათვის, რომ თავიანთი აღმოჩენა დაემალათ, ოსტატებმა დააგდეს ხმა, რომ საუკეთესო ხარისხის სიმები კატის ნაწლავებისაგან მზადდებოდა. ეს ფანდი საუკეთესოდ იყო მოფიქრებული: შუა საუკუნეებში კატის მოკვლას ვერავინ ბედავდა, რადგან გავრცელებული მითის თანახმად, ამას ადამიანისათვის დიდი უბედურება მოჰქონდა.

იცით თუ არა თქვენ, რომ ცისფერ ვეშაპს - დედამიწაზე მცხოვრებ ყველაზე დიდ ცხოველს, არ შეუძლია გრეიფრუტზე დიდი საგნის გადაყლაპვა. ეს იმიტომ, რომ ცისფერი ვეშაპის საყლაპავი მილი ძალიან ვიწროა. გარდა სხეულის ამ ნაწილისა, ძუძუმწოვარს სხეულის ყველა სხვა ნაწილი უზარმაზარი აქვს: მისი საშუალო სიგრძე 32 მეტრს აღწევს, რაც სამჯერ მეტია ოდესღაც დედამიწაზე მცხოვრები ყველაზე დიდი დინოზავრის ზომაზე, ხოლო წონა ერთად აღებული 2700 საშუალო წონის ადამიანის ტოლია. ცისფერი ვეშაპის ენა იწონის იმაზე მეტს, ვიდრე საშუალო ზომის სპილო, გული ოჯახური ავტომანქანის ზომისაა, ხოლო კუჭს შეუძლია დაიტიოს ერთ ტონამდე საკვები (ისე საინტერესოა, ასეთი პატარა საყლაპავი მილით როგორ ახერხებს ცისფერი ვეშაპი ამხელა კუჭის ამოვსებას?).

იცით თუ არა თქვენ, რომ ორთქლის მანქანა გამოიგონა ეგვიპტელმა ჰერონმა (მას მეორენაირად ალექსანდრიელ ჰერონსაც უწოდებენ) ტომას ნიუკმენის მიერ შექმნილ მანქანამდე (1711 წელი) 1600 წლით ადრე. ჰერონი მოღვაწეობდა ეგვიპტეში ჩვენი წელთაღრიცხვით 60-იან წლებში და იყო გეომეტრი და მათემატიკოსი. ის ასევე იყო დიდი გამომგონებელი, რომელმაც შექმნა "საჰაერო ბურთი" ანუ ალეოპილე, რომელიც იყო პირველი მუშა ორთქლის მანქანა.

იცით თუ არა თქვენ, რომ ჯოვანი ჯაკომო კაზანოვა ( (1725 - 1798), ვინც მსოფლიოში ყველაზე ცნობილ მექალთანედ და ავანტიურისტად ითვლება, აწარმოებდა დღიურს, სადაც დაწვრილებით აღწერდა თავის ყველა სასიყვარულო თავგადასავალს. მიუხედავად იმისა, რომ კაზანოვა თავისი საყვარლების ნამდვილ სახელებს არ ასახელებდა, დაწვრილებით აღწერდა თითოეული მათგანის ეროვნებას, წლოვანებას, საქმიანობის სფეროს, ოჯახურ მდგომარეობას, თვალების და თმების ფერს და ასე განსაჯეთ, "შეცდენის მანერას" და "სიყვარულით დაკავების პოზებსაც" კი. ეროვნების მიხედვით სიაში ყველაზე დიდი რაოდენობით იტალიელი ქალებია. მათი ასაკი 15-დან 20 წლამდე მერყეობდა, ხოლო საქმიანობის მიხედვით ისინი, ძირითადად, მოახლეები იყვნენ. სულ კაზანოვას 136 საყვარელი ჰყავდა.

იცით თუ არა თქვენ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიაში დიდი რაოდენობით ჰომოსექსუალი პატიმარი ციხეებიდან არ გათავისუფლეს. ეს იმიტომ, რომ გერმანიაში ძალაში დარჩა სისხლის სამართლის 175-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც მამაკაცებს შორის სქესობრივი კავშირი აკრძალული იყო. 1935 წელს ჰიტლერმა ეს მუხლი იმგვარად შეცვალა, რომ სისხლის სამართლის სასჯელით ისჯებოდა კოცნა, მოხვევა და ფანტაზიაც კი ამ თემაზე. 1937-1939 წლებში ამ ბრალდებით ციხეში 25 000-მდე მამაკაცი მოხვდა, რომლებსაც დაუყონებლივ აგზავნიდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში. აქ ისინი იძულებული იყვნენ, ტანსაცმელზე ეტარებინათ წითლად ამოქარგული ასო „A", რომ გამორჩეული ყოფილიყვნენ სხვა პატიმრებისაგან. მოგვიანებით ჰიტლერმა გასცა ბრძანება მათი სტერილიზაციის შესახებ, რაც უმეტეს შემთხვევაში კასტრაციას გულისხმობდა, ხოლო 1942 წელს ჰიტლერმა გამოსცა კანონი, რომლის მიხედვით ჰომოსექსუალებს სიკვდილით სჯიდნენ.

ნაცისტური სისხლის სამართლის კანონის 175-ე მუხლი იყო ერთადერთი, რომელიც ძალაში დარჩა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ის მხოლოდ 1969 წელს გააუქმეს.

# ულოცავენ!

## რუსუდან კიკილაშვილს!



რუსუდან, გილოცავთ იუბილეს! შენ ჩვენი სკოლის სუნთქვა ხარ. აქტიური და შემოქმედებითად სავსე ახალგაზრდა პედაგოგი. ჩვენ ვამაყობთ შენი უნარით და მიღწევებით, შენი საქმით, იმით, რაც გაგიკეთებია, რასაც აკეთებ და რასაც მომავალში გეგმავ. გვინდა რომ შენს შემოქმედებით წვასთან პარალელურად გიხილოთ კიდევ უფრო მაღალ მწვერვალებზე და იყო ბედნიერი, როგორც ქალი, როგორც პედაგოგი და როგორც ამ ქვეყნის ერთი ღირსეული მოქალაქე!

**კეთილი სურვილებით,**
ხორნაბუჯის საჯარო სკოლის
პედაგოგიური კოლექტივი და მეგობრები.

## ალექსი გაბრიელაშვილს!



გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საყვარელ საქმეში. იყავით ჯანმრთელი, დღეგრძელი და ბედნიერი თქვენს ოჯახთან ერთად.

ჩვენ ვამაყობთ, რომ ვართ ალექსი გაბრიელაშვილის ანსამბლის მოცეკვავეები.

გფარავდეთ უფალი!

**დიდი სიყვარულითა და პატივისცემით,**
**ქორეოგრაფიული სახალხო**
**ანსამბლის** „შირაქი" **წევრები**

## ოვანეს ოგანესიანს!



ჩვენო პატარა, გილოცავთ ოთხი წლისთავს, იყავი ჯანმრთელი, ბედნიერი და სასახელო შვილი გაზრდილიყავ!

„რამდენი ფოთოლიც დაცვივა ბებერი ჭადრის ხეს,
რამდენი იაც ამოვა გაზაფხულის თვეს,
რამდენი ფიფქიც დაადნება კავკასიონის მთებს,
დაესწარი იმდენ დაბადების დღეს!"

**შენი პაპა -** რანტიკა, **ბებია -** მარინა, **მამიდა** და **ძია.**

## ნინო იაკობიშვილს!

ჩვენო მეგობარო ნინო, წინა თვეში შენს ოქროს ქორწილთან ერთად კიდევ ორი სიხარული მოგილოცეთ, ახლა კი გილოცავთ დაბადების დღეს, ნამდვილად ბედნიერი ქალი ხარ. დიდხანს იცოცხლე შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების საკეთილდღეოდ. შენ, ჩვენი „შვიდეულის" დიდო ლაზათო, არ მოგკლებოდეს შენი ჩვეული ღიმილი. გკოცნით და გეხვევით. გფარავდეს უფლის მდლი.

**პატივისცემით,**
შენი მეგობრები „შვიდეული".

## ზაურ გონაშვილს!

ნაღდ ქიზიყელ ქართველს, შესანიშნავ მეოჯახეს, პოეტსა და კირითხუროს ზაურ გონაშვილს ვულოცავთ დაბადების 78 წლისთავს და ვუსურვებთ ტკბილ და გემრიელ სიბერეს.

**პატივისცემით,** ნინო სეხნიაშვილი, ქეთევან ნათელაძე, თამილა ფოლადაშვილი, ნატო ყატაშვილი, ლალი გურასპაული, თამაზ წიკლაური, ლევან ალავერდაშვილი, სერგო ქართველიშვილი, გია გარსევანიშვილი, ჯუმბერ უთრუთაშვილი.

# აფხაზეთის პირველობა ფეხბურთში

21 ოქტომბერს, დედოფლისწყაროს მუნიციპალურ სტადიონზე გაიმართა შეხვედრა აფხაზეთის პირველობაზე ფეხბურთში, რომელიც ლეგენდარული ფეხბურთელის ავთანდილ (ბასა) ღოღობერიძის ხსოვნას მიეძღვნა. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ დუშეთის „არაგვი" და დედოფლისწყაროს „შირაქი". მატჩი სტუმართა უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა ანგარიშით 2:0 „არაგვის" სასარგებლოდ. აღნიშნულ ჩემპიონატს ატარებს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია, ხოლო მონაწილეობენ აღმოსავლეთ საქართველოსა და ქალაქ თბილისის საფეხბურთო გუნდები. მორიგი შეხვედრა დედოფლისწყაროელებს 25 ოქტომბერს თბილისის „ლომებთან" უწევთ.



# კიკ-ბოქსინგი

28-29 სექტემბერს დმანისში ჩატარდა ქვემო ქართლის ღია პირველობა კიკ-ბოქსინგში. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა სპორტული გუნდები და კლუბები, ასევე მოწვეულები იყვნენ და მონაწილეობა მიიღო ზემო მაჩხაანის სპორტულმა კლუბმა „ზაქებმა". „ზაქებიდან" სამი სპორტსმენი მონაწილეობდა და შედეგებიც შემდეგი აჩვენეს: პირველი ადგილი დაიკავა გიგა ნატროშვილმა, რომელმაც შეხვედრები სუფთა გამარჯვებით ნოვაუტებით მოიგო. მეორე ადგილი დაიკავეს გიორგი ტოკლიკიშვილმა და აკაკი ნატროშვილმა.

**მწვრთნელი** გენადი ნატროშვილი

# ქურდობა სპორტულად



რამდენიმე კვირის წინ სპორტკლუბ „ლეგიონიდან " სიმძიმის ასაწევი მძიმე წონის ბლინები გაქრა. ეს ინფორმაცია რედაქციას სპორტკლუბ „ლეგიონის" ხელმძღვანელმა და მწვრთნელმა მიხეილ სეხნიაშვილმა მოაწოდა. ის აღნიშნავს, რომ თითოეული ბლინი მან საბერძნეთში მოღვაწეობიდან დაბრუნების შემდეგ შეიძინა და თითოეული ბლინის ღირებულება დაახლოებით 150 ლარს აღწევს. ბატონი მიხეილი ძალიან დიდ აღშფოთებას გამოხატავს, იმასთან დაკავშირებით, რომ სპორტსმენი რებით, რომ სპორტსმენი ალარაა სპორტსმენი, თუ ის ქურდობის გზაზე დგას და აღნიშნავს, რომ დანაკარგი სპორტული კლუბის დარბაზისთვის სერიოზული დანაკლისია. მწვრთნელს აქვს დამაჯერებელი ვერსია და იცის, რომ ეს ქურდობა მასთან ახლადგადმოსულმა რამდენიმე უკვე მოზრდილმა სპორტსმენმა ჩაიდინა. ამიტომ არ ცდილობს ეს ამბავი პოლიციას შეატყობინოს და სურს, საკითხი უფრო ლოიალურად მოაგვაროს. ის მოუწოდებს ბლინების წამლებ პირებს, რომ დროულად იფიქრონ და ისე დააბრუნონ ბლინები თავის ადგილას, რომ ვერავინ ვერაფერი გაიგოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ეგრეთწოდებული "სპორტული ქურდობის" ჩამდენების ვინაობას მთელი რაიონი შეიტყობს.

ლალი მეხრიშვილი

## ყურადღება!

31 ოქტომბერს,შაბათს, ქ. დედოფლისწყაროს სპორტულ დარბაზში (კოსტავას ქ.№3), გაიმართება ამირან ბილიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭადრაკში. მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერი ასაკის ყველა მსურველს. დასაწყისი 10.30 სთ-ზე. დაინტერესებულმა პირებმა დარეკეთ: 595 090513

# ამინდი დედოფლისწყარო

| | ორშაბათი 26.10 | | სამშაბათი 27.10 | | ოთხშაბათი 28.10 | | ხუთშაბათი 29.10 | | პარასკევი 30.10 | | შაბათი 31.10 | | კვირა 01.11 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| | 12 ° | 10 ° | 10 ° | 9 ° | 9 ° | 7 ° | 8 ° | 7 ° | 8 ° | 7 ° | 5 ° | 4 ° | 6 ° | 5 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-კოკიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს" სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.